წინასიტყვაობა

ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრის მკვლელობამ სარაევოში 1914 წლის 28 ივნისს მთელი მსოფლიო შეძრა. ყველა შიშისაგან გაინაბა. "რაღაც სისულელეს ბალკანეთში," - როგორ აფრთხილებდა ბისმარკი, - შეიძლება მთლიანად შეეცვალა ვითარება ევროპასა და მსოფლიოში. მოვლენა, რომელსაც ასე ელოდნენ და ასე უფრთხოდნენ და რომლისთვისაც ასე ემზადებოდნენ, სინამდვილედ იქცა.

სამხედრო ციებ-ცხელებამ ევროპის კონტინენტის ყველა ქვეყანა მოიცვა. ნაციონალისტურმა რიტორიკამ მთლიანად ჩაახშო გონების მოკრძალებული და სუსტი ძახილი. "ჩვენ ფოთოლცვენამდე დავბრუნდებით", - თავს ირწმუნებდნენ სამობილიზაციო პუნქტებში მისული ახალგაზრდა გერმანელები. "რევანში 1870 წლისათვის! დავიბრუნოთ ელზასი! – გაიძახოდა აგზნებული ბრბო ელისეის მინდვრებზე. "გერმანია დავყოთ, ვილჰელმი კი წმინდა ელენეს კუნძულზე გავასახლოთ!" – მხიარულად ეუბნებოდნენ ერთმანეთს გამვლელები სანკტ-პეტერბურგში. "შევხვდებით მოსკოვში", - ხმამაღლა აცხადებდნენ ვენაში. ყველა ფიქრობდა, რომ ომი სწრაფად დასრულდებოდა და გაყოფილი ევროპის ორივე მტრული ბანაკის წარმომადგენლები დარწმუნებული იყვნენ, რომ გამარჯვება სწორედ მათ ერგებოდათ.

პირველი მსოფლიო ომის სათავეები გერმანიის გაერთიანებისა და საფრანგეთ-პრუსიის 1870-1871 წწ. ომში უნდა ვეძებოთ. საფრანგეთი ვერ შეეგუა ეროვნულ დამცირებას და ტერიტორიების დაკარგვას ამ ომის შედეგად და რევანშისათვის ემზადებოდა. გერმანია გადაჭარბებულად აფასებდა თავის ძლიერებას და მეზობლების მიმართ აგრესიული პოლიტიკის გატარება დაიწყო. დიდი ბრიტანეთი აღშფოთებული იყო გერმანიის გაძლიერებით და მისი ამბიციური და გამომწვევი სამხედრო-საზღვაო პროგრამით. რუსეთი და ავსტრია-უნგრეთი ერთმანეთს დაერია ბალკანეთისა და სრუტეების საკითხების გარკვევაში. დენთით სავსე კასრი გამზადებული იყო, საჭირო იყო მხოლოდ მცირე ნაპერწკალი, რომ ყველაფერი ყირაზე დამდგარიყო.

ომისწინა წლებში განსაკუთრებულ გულმოდგინებას სამხედროები იჩენდნენ, რომლებმაც შექმნეს თავისი სახელმწიფო სახელმწიფოში – გენერალური შტაბი. სამხედრო სტრატეგები დღედაღამ მუშაობდნენ იმ გეგმის შედგენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა მოეტანა მათთვის გამარჯვება. მრეწველობის, რკინიგზის ქსელისა და ფლოტის განვითარებასთან ერთად ძველი პროფესიული არმია წარსულს ჩაბარდა. ახლა ის მხარე გაიმარჯვებდა, რომელიც ომის ველზე ყველაზე მრავალრიცხოვან არმიას გამოიყვანდა. მხოლოდ ერთი საკითხი აწუხებდათ – ვინ ვის დაასწრებდა. რომელი სახელმწიფოც უფრო სწრაფად მოახერხებდა 18-დან 40 წლამდე ასაკის მამაკაცების გაწვევას, აღჭურვას და ფრონტზე გაგზავნას, უფრო გაუადვილდებოდა ინიციატივის მოპოვება და გამარჯვების მიღწევა.

"მობილიზაცია" და "განადგურება" – აი, ის ორი ძირითადი სიტყვა, რომლებმაც პროფესიონალი სამხედროების ლექსიკონში თანდათან მაგიური ელფერი შეიძინეს. მობილიზაციის გეგმას პრაქტიკულად მთელი მეურნეობა დაექვემდებარა. რკინიგზის არც ერთი განშტოება, არც ერთი გზატკეცილი და საავადმყოფო არ შენდებოდა გენერალური შტაბის წარმომადგენლის ნებართვისა და სამობილიზაციო რესურსებში მათი ჩართვის გარეშე. განსაკუთრებულ კონტროლზე იყო აყვანილი შობადობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა და სიკვდილიანობა,

რამეთუ მათზე იყო დამოკიდებული "საზარბაზნე ხორცის" მიწოდება ფრონტის ხაზზე. მრეწველობა ორმაგი დანიშნულების პროდუქციას ამზადებდა, რათა "განსაკუთრებულ დროს" გადასულიყო შეიარაღების წარმოებაზე. "მ. დღეს" – ასე უწოდებდნენ მობილიზაციის დაწყებას გერმანიის გენერალურ შტაბში – ექვემდებარებოდა ყველაფერი - დაწყებული ჯარების გადასროლიდან, დამთავრებული საზღვარზე პირველი ბრძოლების გაჩაღებამდე. ვინც სწრაფად დაასრულებს მობილიზაციას, გამარჯვებულიც ის არის.

ომისწინა წლებში სამხედრო აზროვნების განვითარებამ არნახულ სიმაღლეს მიაღწია. სამხედროები ხელახლა კითხულობდნენ კლაუზნევიცს, ჟომინის, მახანს და სამხედრო საქმის სხვა კლასიკოსებს და ცდილობდნენ ეპოვათ პასუხები და, რაც მთავარია, თავისი "გამარჯვების ფორმულა". ეს ძიებანი აისახა ათასობით წიგნსა და გამოცემაში, რომლებშიც ავტორებს პასუხის ძიებაში უკიდურესობები იტაცებდა - ერთნი შთაგონებას შეტევის "აღტყინების" მორალურ ძალაში ეძებდნენ, სხვები კი გულგრილად ითვლიდნენ მოწინააღმდეგის სიმაგრის განადგურებისთვის საჭირო ჭურვების რაოდენობას. სამხედრო ელიტას ოფიცერთა კორპუსის მომზადების საქმეში არასდროს არ მიუღწევია ისეთი სიმაღლეებისათვის, როგორც ომისწინა პერიოდში. მომზადების დონე სამხედრო სასწავლებლებში უფრო მაღალი იყო, ვიდრე სამოქალაქოში. საშუალოდ ოფიცრები ინტელქტუალური, მოაზროვნე და ინიციატივიანი პიროვნებები იყვნენ. ნებისმიერი ევროპელი ოჯახისთვის საპატიო იყო თავისი შვილი ოფიცრად გაეზარდა.

მაღალხარისხოვანი მომზადების მიუხედავად, საკუთარი ძლიერებით დაბრმავებული სამხედრო ელიტა ბოლომდე ვერ გაერკვა კაპიტალის განვითარებით გამოთავისუფლებულ ძალებში. სამხედროებს, რომლებმაც გაითვალეს სამრეწველო პოტენციალი, რკინიგზის ლიანდაგებისა და ორთქმავლების რაოდენობა და ცდილობდნენ გაეგოთ ნაციონალიზმის მორალური მნიშვნელობა, გაუთვალისწინებელი დარჩათ ის უზარმაზარი ძალა, რომელიც სამრეწველო რევოლუციას მოჰყვა.

ეს ძალა სამხედროებზე უკეთ სამოქალაქო პირებმა გააცნობიერეს. რუსეთის ქვეშევრდომმა, პოლონელმა ებრაელმა, ფინანსისტმა იან ბლიოხმა თავის მრავალტომიან წიგნში "მომავალი ომი" წინასწარ განჭვრიტა, რომ ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებს ომის წარმოების უზარმაზარი პოტენციალი აქვთ, რომ ერთი დამარცხებული არმიის შესაცვლელად სწრაფად იქნება მობილიზებული მეორე. იგი ასკვნიდა, რომ ეკონომიკამ შექმნა რეზერვი ხანგრძლივი ომის საწარმოებლად და რომ მოწინააღმდეგის ერთი დარტყმით განადგურება შეუძლებელია. პოლიტიკურ ასპექტში ბლიოხი წინასწარმტყველებდა, რომ ომი ისეთ ძვრებს გამოიწვევს, რომელიც არა მარტო დამარცხებული, არამედ გამარჯვებული სახელმწიფოს წყობილებასაც შეცვლის. ტაქტიკის განვითარებაში მან ბევრი სამხედროსათვისაც კი მოულოდნელი დასკვნა გამოიტანა, რომ თანამედროვე იარაღის განვითარების გამო ფრონტალური შეტევები შეუძლებელია, რომ მომავალი ბრძოლის ველზე თავდაცვა იბატონებს.

თუმცა სამხედროებსაც ჰქონდათ "ნათელი" მომენტები: სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, 1890 წელს, მოლტკე-უფროსმა იწინასწარმეტყველა, რომ "მომავალი ომი შეიძლება შვიდი, შეიძლება ოცდაათი წელი გაგრძელდეს, და რომ მას უდიდესი პოლიტიკური ძვრები მოჰყვებოდა", ხოლო მისმა ძმისშვილმა მოლტკე-უმცროსმა იმპერატორ ვილჰელმ მეორეს განუცხადა, რომ "ეს იქნება ეროვნული ომი, რომელიც

გადამწყვეტი დარტყმით კი არა, არამედ ხანგრძლივი და დამღლელი ბრძოლით დამთავრდება." მაგრამ ეს გაფრთხილებები შეუმჩნეველი დარჩა, ევროპული "ტიტანიკი" ბედის შესახვედრად მიემართებოდა.

სამხედრო მანქანამ, რომლის შექმნასა და მოვლას რამდენიმე ათწლეული დასჭირდა, პირველი ბრძოლების დაწყებისთანავე მთლიანად ჩაშალა ყველა ომისწინა გეგმა. იგი კონტროლს აღარ ექვემდებარებოდა და თვითონ დაიწყო თავისი პირობების კარნახი.

გერმანიის სამხედრო აზროვნება

გერმანიის სამხედრო ხელოვნების განვითარებაზე ორი ძირითადი ფაქტორი ახდენდა მნიშვნელოვან ზეგავლენას - პიროვნული და გეოგრაფიული. პიროვნულ ფაქტორში იგულისხმება გამოჩენილ სამხედრო მოაზროვნეთა მთელი პლეადა, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს თანამედროვე გერმანულ სამხედრო თეორიას. განსაკუთრებულ ცნობილ მოაზროვნეთა რიცხვს განეკუთვნებიან კლაუზენვიცი, მოლტკე-უფროსი და გრაფი ფონ-შლიფენი. მეორე, ანუ გეოგრაფიული ფაქტორი სპეციფიკურ გავლენას ახდენდა სამხედრო ხელოვნების განვითარებაზე. პრუსიას, მოგვიანებით კი გაერთიანებულ გერმანიას ძალზე არასახარბიელო მდებარეობა ეკავა ევროპის ცენტრში. იგი არ იყო დაცული ბუნებრივი წინაღობებით, ამასთან, გარშემორტყმული იყო მეომარი და აგრესიული სახელმწიფოებით - რუსეთით, ავსტრიითა და საფრანგეთით. ამიტომ მას ყოველთვის აწუხებდა ორ ფრონტზე ბრძოლის საკითხი. "კოალიციის კოშმარი", რომელიც ასე აწვალებდა ბისმარკს, მოსვენებას არ აძლევდა სამხედროებსაც.

კლაუზენვიცმა უდიდესი გავლენა მოახდინა არა მარტო გერმანიის, არამედ მსოფლიო სამხედრო ხელოვნების განვითარებაზე. კარლ კლაუზენვიცი დაიბადა 1780 წელს სკოლის მასწავლებლის ოჯახში. 12 წლის ასაკში ქვეით ჯარში შევიდა იუნკრად. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ პრუსიის ჯარების ლაშქრობაში. ბერლინის სამხედრო აკადემიაში მსმენელად ყოფნის დროს თავისი პედაგოგის, მომავალი რეფორმატორის შარნგორსტის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. კლაუზენვიცი მონაწილეობდა აუერშტედტის ბრძოლაში, 1812 წლიდან 1814 წლის ჩათვლით მსახურობდა რუსეთის არმიაში, აქტიურ მონაწილეობას იღებდა გერმანიიდან ნაპოლეონის განდევნაში, ხოლო 1818 წლიდან სიკვდილამდე (1831 წ.) მეთაურობდა ბერლინის სამხედრო აკადემიას.

კლაუზენვიცის უმნიშვნელოვანეს ნაშრომად ითვლება მისი დაუმთავრებელი წიგნი პირობითი სათაურით „ომის შესახებ". მასში კლაუზენვიცი ახლებურად, დიალექტიკურად მიუდგა სამხედრო ხელოვნების განვითარების პრობლემას. მისი ძირითადი დებულება იყო ცნება იმის შესახებ, რომ ომი მხოლოდ პოლიტიკის გაგრძელებაა, ოღონდ სხვა საშუალებებით, სტრატეგია კი მისი წარმოების ინსტრუმენტია. სტრატეგია შეიძლება ჰგავდეს მძიმე მახვილს, რომელიც აუცილებელია მოწინააღმდეგის სრული დამარცხებისათვის, ანდა მსუბუქ ხმალს სწრაფი და მოულოდნელი დარტყმებისათვის მტრის მოსაღლელად. პოლიტიკამ ომის წარმოების მიზანზე უნდა მიუთითოს და ამით განსაზღვროს მისი ხასიათი. კლაუზენვიცის მოძღვრებით, ომი არ არის იზოლირებული მოვლენა, მას გარკვეული

ვითარება წარმოშობს და იგი მისი წინმსწრები პოლიტიკური ურთიერთობების გაგრძელებაა. ომის ხასიათის განსაზღვრა როგორც პოლიტიკოსის, ისე სამხედრო სტრატეგის ძალისხმევას მოითხოვს. თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურზე სამხედრო ხელოვნება იქცევა პოლიტიკად, რომელიც, დიპლომატიური ნოტების ნაცვლად, ომით იკაფავს გზას. კლაუზენვიცი მთლიანად აცლის საფუძველს იმ მოძველებულ შეხედულებას, რომ ომის ხელმძღვანელობაზე პოლიტიკოსები ცუდ გავლენას ახდენენ. მისი აზრით, პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ არა მარტო უნდა დაიწყოს სამხედრო მოქმედებები, არამედ უხელმძღვანელოს კიდეც მათ. ომის პოლიტიკური მიზანი ყოველთვის უნდა იყოს მხედველობაში მიღებული, ამასთან, სამხედრო საკითხების გადაწყვეტის დროს აუცილებელია პოლიტიკური მოთხოვნების გათვალისწინება. კლაუზენვიცი უარყოფდა ომის დამოუკიდებლად არსებობას და მას საერთო პოლიტიკური ბრძოლის ნაწილად მიიჩნევდა. თავის წიგნში იგი უარყოფს სამხედრო ხელოვნების რაიმე განსაკუთრებული ზოგადი კანონების არსებობას. იგი აფრთხილებდა, რომ ნორმები, რომლებიც მოქმედებენ ერთი ომის დროს, არ ვრცელდება მეორეზე, ყოველი ეპოქისათვის თავისი სამხედრო კონფლიქტებია დამახასიათებელი. სამხედრო ხელოვნების ერთიანი კანონებისა და ნორმების ჩამოყალიბება გამოიწვევდა სინამდვილისაგან მოწყვეტას და შაბლონს. მხოლოდ ,,გაურკვევლობა და ბურუსი", ანუ შემთხვევითობა და გაუთვალისწინებლობაა ომის ძირითადი და მუდმივი თანამდევი.

კლაუზენვიცი ერთ-ერთი პირველია, რომელმაც ყურადღება მიაქცია მორალური ფაქტორის მნიშვნელობას ომის დროს. იგი ამტკიცებდა, რომ ვერც ადგილმდებარეობის ყველაზე წარმატებული გამოყენება, ვერც ჯარების გეომეტრიული მოწყობა ვერ დატოვებს ყურადღების მიღმა მორალურ ფაქტორებს. კლაუზენვიცმა იწინასწარმეტყველა, რომ მომავლის ომებს ექნება მკაფიოდ გამოხატული ეროვნული ხასიათი, სადაც ერთი მეფე კი არ იომებს მეორე მეფის ან ერთი არმია მეორე არმიის წინააღმდეგ, არამედ ერთი ხალხი გააჩაღებს ომს მეორესთან.

კლაუზენვიცის ერთ-ერთი ძირითადი იდეა იყო მტკიცება, რომ თავდაცვა არის ომის უძლიერესი ფორმა, მაგრამ უარყოფითი მიზნებით, შეტევა კი - უსუსტესი, მაგრამ ის ხასიათდება დადებითი მიზნებით. მაგალითად, თუკი თავდასხმა თავდაცვაზე იოლია, მაშინ სუსტისათვის თავდაცვაზე გადასვლა უხეში შეცდომა იქნებოდა. სტრატეგიაში თავდაცვას საშუალება აქვს, გამოიყენოს სამხედრო მოქმედებების თეატრის ყველა შესაძლებლობა, რაც აიძულებს თავდამსხმელს დახარჯოს თავისი ძალები და საშუალებები ამ სივრცის გამაგრებაზე, ან დრო – მის შემოვლაზე. ყოველგვარი მოგებული დრო კი თავდაცვის დამატებითი პლუსია. ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯით თავდამსხმელის ძალები სუსტდება, მაშინ როცა თავდაცვის მხარე მათ კონცენტრაციას ახდენს. ამასთან, კლაუზენვიცი ხაზს უსვამდა, რომ თავდაცვა უბრალოდ პასიური მდგომარეობა არ არის, არამედ მხოლოდ პირველი დარტყმის, მოწინააღმდეგის აქციის მოლოდინია, რომელსაც უმალ უნდა მოჰყვეს რეაქცია - თავდამცველის საპასუხო დარტყმა. ამ ნათელი აზრის მიუხედავად, სამხედრო თეორეტიკოსთა უმრავლესობა, განსაკუთრებით მე-19 და მე-20 საუკუნეების მიჯნაზე, რომლებიც გატაცებული იყვნენ ინიციატივის ხელში ჩაგდებისა და შეტევის თეორიებით, კლაუზენვიცის დასკვნებს თავდაცვის ძლიერი მხარეების შესახებ არასწორად მიიჩნევდნენ. მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის

მწარე გამოცდილებამ აიძულა სამხედრო სტრატეგები დაფიქრებულიყვნენ კლაუზნევიცის დასკვნების მართებულობაზე.

თავის წიგნში კლაუზენვიცი მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისგან ქაღალდზე მიღებულ გადაწყვეტილებებს და ცხოვრებაში მათი განხორციელების პრობლემებს. მას მიაჩნდა, რომ ნებისმიერი ჩანაფიქრის რეალიზებას მეტი ძალისხმევა და ენერგია სჭირდება, ვიდრე ეს რუკაზე მოჩანს. ომის "წინააღმდეგობანი და გაურკვევლობა" გამოწვეულია ათასგვარი წვრილმანი მოულოდნელობით და ვითარების სწრაფი შეცვლით.

იმისათვის, რომ ზომიერი შედეგები მაინც იქნეს მიღებული, გეგმის შემუშავების დროს აუცილებელია უფრო მაღალი მიზნების დასახვა.

კლაუზენვიცის მემკვიდრეობა შედგება 128 ცალკეული თავისა და სტატიისაგან. ისინი თავმოყრილია რვა წიგნში, რომლის პირობითი სათაურია ,,ომის შესახებ". რვა თავიდან მხოლოდ ერთს ჰქონდა დასრულებული სახე, დანარჩენებს კი თვით ავტორი უწოდებდა ,,უფორმო მასას, რომელიც კიდევ უნდა გადამუშავებულიყო". სამწუხაროდ, კლაუზენვიცს არ დასცალდა დაესრულებინა თავისი ,,პირმშო", 1831 წელს იგი ხოლერით გარდაიცვალა. მაგრამ თვით მისი ნაშრომის დაუსრულებლობის ფაქტი, რომელიც შემდგომი კვლევის საშუალებას იძლეოდა, ბევრის მიერ მის უდიდეს დამსახურებად იქნა აღიარებული. კლაუზენვიცის შრომები, რომლებიც კანტისა და ჰეგელის ფილოსოფიას ეფუძნებოდა, არ იძლეოდა ერთმნიშვნელოვან პასუხებს, მასში არ არის სწორხაზოვანი პასუხები ,,დიახ" ანდა ,,არა" სამხედრო ხელოვნების ურთულეს კითხვებზე. ის მხოლოდ მიანიშნებდა და იძლეოდა ინფორმაციას განსჯისათვის.

კლაუზენვიცის იდეებმა დიდი გავლენა მოახდინა სამხედრო ხელოვნების განვითარების პროცესზე. მისი ნაშრომი მრავალი პოლიტიკოსისა და სამხედრო პირის სამაგიდო წიგნად იქცა. ევროპის ყველა სამხედრო აკადემიაში ასწავლიდნენ მის აზრებს. კლაუზენვიცის ნაწარმოებებზე ოფიცრების მთელი თაობა აღიზარდა. საინტერესოა ერთი ისტორიული მაგალითი. ავსტრიელებზე პრუსიის არმიის ერთ-ერთი გამარჯვების შემდეგ ვიღაცამ აღნიშნა, რომ ომი მოიგო არა პრუსიელმა ჯარისკაცმა, არამედ სკოლის მასწავლებელმა, რაზეც მოლტკემ უპასუხა: "დიახ, და მისი სახელი კლაუზენვიცია".

მე-19 საუკუნის დასასრულს ეკონომიკაში ახალი ტექნოლოგიების, ხოლო სამხედრო საქმეში თავდასხმის თეორიის განვითარებასთან ერთად კლაუზენვიცის იდეებმა მეორე პლანზე გადაინაცვლა, მის წიგნს კი სხვა მრავალი გენიალური ნაწარმოების ბედი ეწია: მას არ სწავლობდნენ, მხოლოდ ციტირებას უკეთებდნენ. პირველი მსოფლიო ომის მრავალმილიონიანი მსხვერპლი გახდა საჭირო იმისათვის, რომ სამხედროებს კვლავ მიექციათ ყურადღება გენიალური პრუსიელის ნაშრომებისათვის.

კლაუზენვიცის მოძღვრება ჩამოყალიბდა ,,ნაპოლეონის ომების“ ბობოქარ დროში და გაერთიანებისაკენ გერმანელების ეროვნული სწრაფვის უდიდესი აღმავლობის ვითარებაში. ნაპოლეონთან ბრძოლის დამთავრების შემდეგ, რეფორმები სწრაფად ჩაახშო დაწყებულმა რეაქციამ, სამხედრო რეფორმატორები სამსახურიდან დაითხოვეს, პრუსიის არმია კი კვლავ ჩაკეტილ სახელმწიფო უწყებად იქცა, სადაც ყველა უმაღლესი თანამდებობა მხოლოდ მაღალი წრის წარმომადგენლებს ეკავათ. 1813 წლის უდიდესი მონაპოვარი - ლანდვერი და ლანდშტურმი, ფრანგული რევოლუციური ლაშქრის ეს გერმანული ანალოგი, იმ ძლიერი მოძრაობის საბრალო

აჩრდილად იქცა, რომელმაც მოიშორა „ნაპოლეონის უღელი“. 1848 წლის რევოლუციამ, რომელმაც ევროპის ყველა დედაქალაქი შეძრა და რომელმაც განსაკუთრებული გამოძახილი ბერლინში პოვა, დღის წესრიგში კვლავ დასვა გერმანიის გაერთიანების საკითხი.

ორმა უდიდესმა პიროვნებამ, თავიანთი საქმის დიდოსტატებმა – ბისმარკმა პოლიტიკაში და მოლტკემ სამხედრო საქმეში შეძლო „რკინითა და სისხლით“ გაეერთიანებინა გერმანია პრუსიის სახელმწიფოს ირგვლივ.

ჰელმუტ ფონ-მოლტკე დაიბადა 1800 წელს გაღარიბებულ არისტოკრატიულ ოჯახში. მომავალმა ფელდმარშალმა პირველადი სამხედრო განათლება დანიის კადეტთა კორპუსში მიიღო. 1822 წელს მოლტკემ სამხედრო სამსახური პრუსიის არმიაში გააგრძელა. 1823 წლიდან 1827 წლის ჩათვლით ბერლინის საერთო სამხედრო სკოლაში (აკადემიაში) სწავლობდა, რომელსაც თვით კლაუზენვიცი ხელმძღვანელობდა. 1835-1839 წლებში მოლტკე მივლინებულ იქნა თურქეთში სამხედრო მრჩევლად. იქ მან მონაწილეობა მიიღო ქურთების, აგრეთვე ეგვიპტეში ოსმალეთის სულთნის ნაცვლის მუჰამედ ალი-ფაშას წინააღმდეგ სამხედრო ლაშქრობებში. ოსმალეთიდან დაბრუნების შემდეგ მოლტკე ბევრს მოგზაურობდა ევროპის ქვეყნებში, იგი იყო რუსეთში, საფრანგეთსა და იტალიაში. 1848 წელს მოლტკე ინიშნება მე-4 საარმიო კორპუსის უფროსად, რომლის მეთაური გერმანიის მომავალი იმპერატორი, პრინცი ვილჰელმი იყო. ამ დროიდან მოლტკე უახლოვდება პრუსიის უმაღლეს სამხედრო-პოლიტიკურ წრეებს. 1857 წლიდან ჰელმუტ ფონ-მოლტკე პრუსიის გენერალური შტაბის მეთაურად ინიშნება.

მოლტკეს მისვლამდე, გენერალურ შტაბში თავმოყრილი იყო უფროსი ოფიცრების პატარა ჯგუფი (64 ადამიანი), რომელიც ეწეოდა ვიწრო-სპეციალურ მოღვაწეობას ისეთ ზოგად საკითხებში, როგორიცაა ტრანსპორტი, ზურგის უზრუნველყოფა, ჯარების მართვა და საერთო დაგეგმარება. გენერალურ შტაბში მისვლისთანავე მოლტკემ მიზნად დაისახა მისი რეორგანიზაცია და გარდაქმნა არმიის მართვის ცენტრალურ აპარატად. მოლტკე დიდ ყურადღებას უთმობდა პრუსიის არმიის მდგომარეობის ანალიზს, აგრეთვე იმ ცვლილებებს, რომელიც მოხდა თანამედროვე ომის წარმოების საკითხებში. 1859 წელს დასრულდა ომი იტალიის გაერთიანებისათვის. სწორედ მის კრიტიკულ ანალიზს მიეძღვნა გენერალური შტაბის ერთ-ერთი პირველი შრომა, რომელიც გამოვიდა 1862 წელს, საომარი მოქმედებების დამთავრებიდან სამი წლის შემდეგ. მან გააცნო პრუსიის არმიის უმაღლეს სარდლობას ის მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ამ ომის დროს. პირველ რიგში მოლტკემ ყურადღება მიაქცია რკინიგზის როლის მნიშვნელობის ზრდას მობილიზაციის, ტრანსპორტირებისა და ჯარების უზრუნველყოფის საკითხებში, აგრეთვე მიუთითა ახალი ტიპის სასროლი იარაღისა და შორსმსროლელი არტილერიის ახლებურ გამოყენებაზე. ტაქტიკის საკითხებში მოლტკეს ანაქრონიზმად მიაჩნდა ღრმა საბატალიონო კოლონებად მოწყობა, ამასთან უპირატესობას ანიჭებდა მოწინააღმდეგის საცეცხლე განადგურებას ფრონტალურ იერიშთან შედარებით, სადაც მთავარი იარაღი ხიშტი იყო. მაგრამ გენერალური შტაბის მეთაურის ავტორიტეტი ჯერ კიდევ არ იყო მაღალი. მას არ ჰქონდა უფლება მოხსენება გაეკეთებინა პირადად მეფისათვის და ვალდებული იყო მხოლოდ სამხედრო მინისტრის მეშვეობით ემოქმედა. მაშინ როდესაც ჯარებს პირადად პრუსიის მეფე სარდლობდა, ხოლო არმიებს პრინცები მეთაურობდნენ, ძველი, არისტოკრატიული გვარების ბევრი წარმომადგენელი ზედაც არ უყურებდა "ამ

მეტიჩარა მოლტკეს". გენერალური შტაბის მეთაურის მოვალეობა მხოლოდ ის იყო, რომ ნებისმიერ დროს მზად ყოფილიყო მოეხსენებინა სამხედრო საბჭოსთვის ამომწურავი ინფორმაცია მოსალოდნელი მოწინააღმდეგისა და შესაძლო მოქმედებათა გეგმების შესახებ. არმიის ტაქტიკური ორგანიზაციის, მისი აღშენების და შეიარაღების ყველა საკვანძო საკითხს სამხედრო სამინისტრო განაგებდა. 1860 წლის დიდი სამხედრო რეფორმა გენერალური შტაბის ყოველგვარი მონაწილეობის გარეშე ჩატარდა. 1864 წელს პრუსიისა და ავსტრიის მიერ დანიის წინააღმდეგ გამართულ ომში მოლტკეს მხოლოდ თანმხლების როლი დაეკისრა, თუმცა "დუპელის სიმაღლეების" აღების დროს მეფის ყურადღება მიიპყრო თავისი გონიერი რჩევებით. ავსტრიასთან პრუსიის ომის (1866 წ.) მომზადებაში მოლტკეს უშუალო მონაწილეობა არ მიუღია. იგი, შესრულებული სამუშაოების შედეგებიდან გამომდინარე, სამხედრო კამპანიის გეგმების კომბინირებას ახდენდა. მაგრამ ლაშქრობის წარმატებამ და მოგებულმა ბრძოლებმა გაამყარა მოლტკეს მდგომარეობა, გენერალურ შტაბს კი ცენტრალური როლი მიანიჭა.

მოლტკე ყოველთვის აღნიშნავდა, რომ "ნაპოლეონის ერთგული მოწაფე და მიმდევარი იყო", მაგრამ, მიუხედავად ამისა, "გამარჯვებით გაბრწყინებული", მაგრამ, მოძველებული, ნახევარსაუკუნოვანი პრინციპების ნაცვლად, იგი ყოველთვის ახლებური გადაწყვეტილებების მიღებას ცდილობდა. განსაკუთრებით არ ასვენებდა ჯარების მობილურობის ზრდის საკითხი. მოლტკე მოქმედებდა ჯარისკაცთა ორ-სამჯერ მეტი რაოდენობით, ვიდრე "ყველა ფრანგის იმპერატორი" და ცდილობდა იმავე კონცენტრაციისა და სისწრაფისათვის მიეღწია, რითაც განთქმული იყო ნაპოლეონი. მოლტკეს საუცხოოდ ესმოდა ჯარების გადაადგილებისათვის სივრცის აუცილებლობა და გზების ქსელის მნიშვნელობა.

მოლტკემ შემოიტანა ახალი ცნება - "თავმოყრის საშინელება". ეს იმ შემთხვევაში ხდებოდა, როდესაც საველე მეთაურები არ ითვალისწინებდნენ რეალურ ვითარებას და აერთიანებდნენ თავიანთ ჯარებს დიდ დაჯგუფებებად, ამით კი მანევრირების საშუალებას უზღუდავდნენ. მოლტკეს ოპერატიული ხელოვნების ლაიტმოტივად მიჩნეულია 1866 წელს, ავსტრიასთან ომის დროს, ჯარების მეთაურებისადმი გაგზავნილი დეპეშა: "ორივე არმია შეიჭრას ბოჰემიაში და მოძებნოს შეერთების საშუალება გიჩინის რაიონში". ავსტრიასთან, შემდეგ კი საფრანგეთთან ომის წარმატების საწინდარი იყო მოწინააღმდეგეზე ტაქტიკური ზეწოლა ორი არმიის ცალ-ცალკე შენარჩუნების პირობებში, რომლებიც მხოლოდ მაშინ შეჯგუფდებოდნენ, როდესაც მტრის წინაშე აღმოჩნდებოდნენ.

მოლტკე განსაკუთრებით იმაზე ზრუნავდა, რომ მეთაურის მოქმედება არ ყოფილიყო შაბლონური და ინიციატივას მოკლებული. მეთაურთა შემადგენლობაში დამოუკიდებლობისა და ინიციატივის დანერგვის მიზნით, გენერალური შტაბის მეთაურმა ხელმძღვანელობის ბრძანებითი მეთოდი შეცვალა დირექტიულით. ბრძანებებისაგან განსხვავებით, სადაც ყველა წვრილმანი იყო მოხაზული, დირექტივებში მხოლოდ ძირითადი მიზნები იყო დასახული, მათი შესრულების საკითხები კი საველე მეთაურთა პრეროგატივას შეადგენდა. გენერალური შტაბი ცდილობდა მინიმალურად ჩარეულიყო ტაქტიკური საკითხების გადაწყვეტაში.

ავსტრიასთან ომის წარმატებით დასრულების შემდეგ დღის წესრიგში დადგა გერმანიის გაერთიანების ყველაზე ძლიერ მოწინააღმდეგესთან - საფრანგეთთან სამხედრო კონფლიქტის გარდუვალობის საკითხი. საფრანგეთთან ომის გეგმის შედგენისას მოლტკეს წინაშე დადგა ორ ფრონტზე ბრძოლის საკითხი. ავსტრიას,

რომელსაც ახსოვდა დამარცხება 1866 წლის ომში, შეეძლო დაერტყა ზურგიდან, მაშინ როცა პრუსიის ძირითადი ძალები დასავლეთ ფრონტზე იყო თავმოყრილი. მაგრამ მოლტკემ სარისკო ნაბიჯი გადადგა. განადგურების სტრატეგიის ეპოქაში, როდესაც ომის ბედს რამდენიმე გადამწყვეტი ბრძოლის შედეგი წყვეტდა, მოლტკემ მთელი ძალის კონცენტრაცია ძირითადი მტრის – საფრანგეთის წინააღმდეგ მოახდინა, ავსტრიის საზღვარი კი დაუცველი დატოვა. ამ ნაბიჯის წყალობით, გერმანიის გაერთიანებული ჯარები თავმოყრილი აღმოჩნდა მთავარი დარტყმის მიმართულებით და თითქმის ორჯერ გადააჭარბა საფრანგეთის არმიას. "საფრანგეთის წინააღმდეგ ოპერატიული შეტევა მხოლოდ და მხოლოდ იმას გულისხმობს, რომ მოიძებნოს ძირითადი ძალები და შეტევა სწორედ მათზე იქნეს მიტანილი. მაგრამ სირთულეს წარმოადგენს ამ უბრალო გეგმის შესრულება მრავალრიცხოვანი მასებით," - ასე ჩამოაყალიბა თავისი გეგმები მოლტკემ ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე.1

საფრანგეთთან ომში მოლტკეს გეგმა მოითხოვდა მეორე იმპერიის შეიარაღებული ძალების განადგურებას და პარიზის აღებას. იგეგმებოდა საფრანგეთის არმიაზე გამანადგურებელი დარტყმების მიყენება სასაზღვრო რაიონებში, სტრატეგიული ობიექტების ხელში ჩაგდება და ამით საფრანგეთის მხრიდან გერმანიის გაერთიანების საფრთხის მოსპობა. დასახული გეგმა მთლიანად არ განხორციელებულა, რამეთუ ფრანგები დაგეგმილზე ადრე აღმოჩნდნენ პარალიზებულნი. გაერთიანებულმა გერმანულმა არმიამ, რომელიც შედგებოდა რეგულარული და სათადარიგო ნაწილებისაგან, სწრაფად შეძლო მობილიზება, ძალების თავმოყრა და ნაპოლეონ III-ის ჯარებზე გამანადგურებელი დარტყმების მიყენება. 1870 წლის სექტემბერში საფრანგეთის არმიამ, როგორც ორგანიზებულმა ძალამ, შეწყვიტა არსებობა. მისი ერთი ნაწილი ალყაშემორტყმული იყო მეცში (მარშალი ბაზენი), მეორე კი უკუგდებული ციხე სედანისაკენ (მარშალი მაკ-მაგონი). მოლტკეს შენიშვნით: "1870 წელს საფრანგეთი სრულიად მოუმზადებელი იყო ომისათვის, რამეთუ ომი, რომელსაც ოკეანის გაღმა აწარმოებდა (იგულისხმება ომი მექსიკაში – ნ.ჯ), დიდძალ თანხებს მოითხოვდა და სრულიად მოშალა დისციპლინა"2 . ომის დაწყებიდან პირველი შვიდი კვირის განმავლობაში გერმანიის გაერთიანებული ჯარების მოულოდნელმა წარმატებებმა გაანადგურა მეორე იმპერიის პოლიტიკური რეჟიმი, თუმცა გერმანელებს კიდევ ხუთი თვე დასჭირდათ საფრანგეთის წინააღმდეგობის დასაძლევად. საფრანგეთის რესპუბლიკის ახალმა ხელმძღვანელობამ მოუწოდა ხალხს სამშობლოს დაცვისაკენ, რის შედეგადაც შეიქმნა მოხალისეთა "სახალხო ბატალიონები". მიუხედავად იმისა, რომ ცუდად შეიარაღებულნი და გაუწვრთნელნი იყვნენ, ისინი უჩვეულო სიმამაცეს იჩენდნენ სამშობლოს დაცვის დროს. მოლტკე, რომელიც თხემით ტერფამდე პროფესიონალი სამხედრო იყო, მხოლოდ რეგულარულ ნაწილებს შორის ორგანიზებულ ბრძოლას ცნობდა, სახალხო, პარტიზანულ მოძრაობას კი "ველურობად და ბარბაროსობად" თვლიდა.

მოლტკემ, დაასრულა რა ომი წარმატებით, "სამხედრო აუცილებლობის" საბაბით, საფრანგეთის ორი პროვინციის – ელზასისა და ლორენის ანექსიას მიაღწია. ბისმარკის მხრიდან წინააღმდეგობის მიუხედავად, რომელიც თვლიდა, რომ ეს მიწები ყოველთვის განხეთქილების ვაშლი იქნებოდა საფრანგეთსა და გერმანიას შორის, გენერლებმა დაარწმუნეს მომავალი იმპერატორი ვილჰელმ პირველი, რომ ეს ტერიტორიები აუცილებელი იყო, რათა მოეშალათ საფრანგეთისათვის პლაცდარმი

მომავალი თავდასხმისათვის. იმ ფაქტმა, რომ ისინი ხელმძღვანელობდნენ მხოლოდ სამხედრო ცნებებით და იგნორირებას უკეთებდნენ საკითხის პოლიტიკურ მხარეს, საფუძველი ჩაუყარა მომავალ კონფლიქტს.

მოლტკეს, როგორც სამხედრო პრაქტიკოსის, მთავარი დამსახურება ის იყო, რომ მან შეიმუშავა მოწინააღმდეგის სტრატეგიული გარშემორტყმის ახალი კონცეფცია. ამისათვის უნდა გამოეყენებინათ სახელმწიფოს ყველა რესურსი ომის წარმოების ყველა ეტაპზე - დაწყებული მობილიზაციით დამთავრებული გადამწყვეტი ბრძოლებით.

კლაუზენვიცისაგან განსხვავებით, რომელიც უდიდესი თეორეტიკოსი იყო, მოლტკე სამხედრო საქმის პრაქტიკულ მხარეებს უთმობდა დიდ ყურადღებას. მას არ დაუტოვებია სამხედრო კონფლიქტების მიზეზებისა და მიმდინარეობის ფილოსოფიური გამოკვლევები. ძირითადად მოლტკე იზიარებს თავისი მასწავლებლის კლაუზენვიცის იდეებს სამხედრო და პოლიტიკურ ძალთა ურთიერთობის შესახებ, მაგრამ იგი უფრო შორს მიდის და აცხადებს, რომ სამხედრო აუცილებლობა თავის გადაწყვეტილებებს მოითხოვს, პოლიტიკური ხელმძღვანელობა კი განზე უნდა დადგეს. თავის ნაშრომში "სტრატეგიის შესახებ", რომელიც დაწერა პარიზის დაბომბვის აუცილებლობის თაობაზე ბისმარკთან კონფლიქტის დროს, მოლტკე ამტკიცებს: "პოლიტიკური მოსაზრებები მართებული შეიძლება იყოს იმ დრომდე, ვიდრე ისინი სამხედროებისაგან არ მოითხოვენ შეუძლებელს ან უსარგებლოს". მისი აზრით, "გამარჯვება უმაღლესი მიზანია და მის მისაღწევად ყველა საშუალება უნდა იქნეს გამოყენებული".

ნაპოლეონის დროიდან ფრონტალური შეტევა განადგურების მიზნით გამარჯვების საწინდარი იყო. მოლტკეს დროს შეიარაღებაში ხარისხობრივმა ცვლილებამ – როგორც არტილერიის, ისე ქვეითი ჯარის სასროლო შეიარაღების განვითარებამ – ფრონტალური შეტევა თითქმის შეუძლებელი გახადა, ჯარების გაშლის ფრონტის გადიდებამ კი ნულამდე დაიყვანა ფლანგებიდან მოწინააღმდეგის გარშემორტყმის მნიშვნელობა. მაგრამ მოლტკემ შეძლო განეჭვრიტა, რომ ტექნოლოგიური სიახლეები არა მარტო ზრდის თავდამცველის ძლიერებას, არამედ თავდამსხმელ მხარესაც შესანიშნავ საშუალებას აძლევს აამოქმედოს მთელი თავისი ძალები მოწინააღმდეგის სრული განადგურებისათვის. საჭირო იყო უკვე მობილიზებული ჯარების დიდი რაოდენობის კონცენტრაცია, შემდეგ კი მოწინააღმდეგეზე შეტევის დაწყება რამდენიმე ურთიერთდამხმარე არმიის გამოყენებით, რომლებიც ფრონტალურ დარტყმას აყენებენ მოწინააღმდეგეს და ერთდროულად შემორტყმითი მოქმედებით შედიან მტრის ზურგში. მოძრაობისა და დარტყმის გაერთიანება იყო მოლტკეს ძირითადი კრედო.

ფელდმარშალ მოლტკეს დამსახურებაა, აგრეთვე, ცვლილებები გენერალური შტაბის მუშაობაში, რომელიც ვიწრო სპეციალური დაწესებულებიდან გერმანიის არმიის ცენტრალურ აპარატად გადაიქცა. ყველა კრიტიკული მომენტი: დაგეგმვის, მომზადების, ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის, ახალი ტექნიკური საშუალებების გამოყენების მიმართულებით, აგრეთვე სამობილიზაციო რესურსების გაანგარიშება შედიოდა გენერალური შტაბის გამგებლობაში. პრუსიასთან 1870-1871 წლების ომში საფრანგეთის გამანადგურებელი დამარცხების შემდეგ პრუსიის გენერალური შტაბის მოდელი ევროპის ყველა ქვეყანამ გადაიღო.

"პირველ რიგში იმის გააზრებაა საჭირო, რა დავიცვათ და რას შევუტიოთ, რამეთუ არმიის თავდაპირველი სტრატეგიული გაშლა უშუალოდ არის

დაკავშირებული ოპერაციებთან"1 . მოლტკემ შექმნა მოწინააღმდეგის "სტრატეგიული შემოვლის" საფუძვლები. ამ თეორიამ შემდგომი განვითარება პოვა ისეთი ცნობილი გერმანელი თეორეტიკოსების შრომებში, როგორებიც იყვნენ ვერდი-დუ-ვერნუა, შლიხტინგი და ფონ-დერ-ჰოლცი. შემოვლითი მანევრის შემოქმედებით განვითარებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა გრაფმა ფონ-შლიფენმა.

ძველი არისტოკრატული გვარის შთამომავალი, გრაფი ფონ-შლიფენი დაიბადა 1833 წელს ბერლინში. მას არ ჰქონდა დიდი საბრძოლო გამოცდილება, 1866 და 1870-71 წლების ომების დროს იგი საშტაბო თანამდებობებზე იმყოფებოდა. 1876 წლიდან 1884 წლის ჩათვლით ულანთა I გვარდიის პოლკს მეთაურობდა. 1886 წლიდან კი მსახურობდა დიდ (საიმპერიო) გენერალურ შტაბში. მას შემდეგ, რაც გენერალური შტაბის უფროსი გენერალი ვალდერზეე დაითხოვეს სამსახურიდან, რადგან შეეცადა ერთდროულად პოლიტიკასაც მიჰყოლოდა და სამხედრო საქმესაც, 1891 წლიდან შლიფენი დანიშნეს გენერალური შტაბის მეთაურად, რომელსაც თხუთმეტი წელი, 1906 წლამდე ხელმძღვანელობდა. გრაფი ფონ-შლიფენი გარდაიცვალა 1913 წლის იანვარში, ცხრამეტი თვით ადრე პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, რომლის მომზადებასაც მან დიდი ძალები შეალია.

შლიფენი გერმანული სკოლის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი, მაგრამ ამავე დროს წინააღმდეგობრივი სამხედრო მოაზროვნე იყო. ისევე როგორც მისი წინამორბედი მოლტკე, შლიფენიც არ იყო ომის ფილოსოფოსი, მაგრამ იგი სამხედრო საქმის დიდი პრაქტიკოსი იყო.

შლიფენის მრავალი აპოლოგეტი, მათ შორის ცნობილი მხედართმთავარი გენერალი ერიკ ლუდენდორფი მას მიიჩნევდა ეპოქის უდიდეს ჯარისკაცად, რომელმაც პასუხი გასცა გერმანიის საუკუნოვან კითხვას – ომის წარმოებას ორ ფრონტზე. კრიტიკოსები კი თვლიდნენ, რომ სწორედ "შლიფენის გეგმამ", რომელიც არ ითვალისწინებდა პოლიტიკურ რეალიებს, ჩაითრია გერმანია მთელი ევროპის წინააღმდეგ ომში, მისი სამხედრო აზროვნება კი გამოირჩეოდა "გონებაშეზღუდული სქოლასტიზმითა" და დოქტრინიორობით. მაგრამ ორივე ბანაკი, როგორც კრიტიკოსთა, ისე თაყვანისმცემელთა, ერთ საკითხში თანხმდებოდა: შლიფენი შეეცადა კლაუზენვიცის სამხედრო ფილოსოფია და მოლტკეს პრაქტიკული გამოცდილება განსაზღვრული მომენტისათვის მიესადაგებინა და გამოენახა გამოსავალი იმ მძიმე პოლიტიკური მდგომარეობიდან, რომელშიც გერმანიის იმპერია აღმოჩნდა ორი საუკუნის მიჯნაზე.

წინამორბედთაგან შლიფენს მემკვიდრეობით დარჩა გერმანიის შეიარაღებული ძალების განლაგების გეგმა ერთდროულად ორ ფრონტზე - რუსეთისა და საფრანგეთის წინააღმდეგ ომის შემთხვევაში. ფელდმარშალ მოლტკეს ჩანაფიქრით, პირველი დარტყმა ყველაზე სუსტი მოწინააღმდეგისათვის – რუსეთისათვის უნდა მიეყენებინათ, რათა იგი დასაწყისშივე გამოეთიშათ ომიდან. გერმანელ გენერლებს იმედი ჰქონდათ, სწრაფად გაენადგურებინათ მეფის არმია პოლონეთის რუსეთის ნაწილში და აეძულებინათ რუსეთი, ხელი მოეწერა "მსუბუქი" სეპარატისტული ზავისათვის. მოლტკე აფრთხილებდა რუსეთთან ომის ორ ძირითად საშიშროებაზე: პირველი იყო უზარმაზარი ტერიტორიული სივრცე, რომელსაც შესაძლოა ხელმეორედ გამოეწვია 1812 წლის კატასტროფა, მეორე – ადამიანთა უსაზღვრო რაოდენობა. სწრაფი ომი შეზღუდული მიზნებით ხელს შეუშლიდა გერმანიის ჩათრევას რუსეთთან ომში მოქანცვამდე.

საფრანგეთის საზღვრებთან გერმანული ჯარი კი უნდა დასჯერებოდა თავდაცვას და მხოლოდ ტაქტიკური შეტევები განეხორციელებინა. ხოლო აღმოსავლეთის ფრონტზე გამარჯვების შემდეგ ჯარების ძირითადი ნაწილი დასავლეთში, საფრანგეთის დასამარცხებლად უნდა გადაესროლათ.

შლიფენი და მისი გენერალური შტაბი მუშაობდა სტრატეგიულ კონცეფციაზე, რომელიც ითვალისწინებდა ომის დაწყებით ეტაპზე ერთ-ერთი მოწინააღმდეგის გამოთიშვას. მაგრამ შლიფენმა 180 გრადუსით შეატრიალა ეს კონცეფცია. მისი აზრით, ორ ფრონტზე ომში გერმანიას უნდა დაერტყა მთელი თავისი ძალებით "ერთი, ყველაზე ძლიერი, ყველაზე მძლავრი, ყველაზე სახიფათო მტრისათვის - ასეთი კი მხოლოდ საფრანგეთი იყო".1

Mმე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 დასაწყისში ტექნოლოგიურმა სიახლეებმა გავლენა მოახდინა არა მარტო ტაქტიკაზე, არამედ სტრატეგიულ აზროვნებაზეც. სავაზნეკოლოფიანი შაშხანის (რომელიც 2 კმ-ზე ისროდა), უკვამლო დენთის, ტყვიამფრქვევების, სწრაფსასროლი, ახალი საარტილერიო სისტემების შექმნა, ტელეგრაფისა და ტელეფონის განვითარება, რკინიგზის ქსელის სწრაფი ზრდა მოითხოვდა არა მარტო დიდ მატერიალურ დანახარჯებს არმიის გადაიარაღებისათვის, არამედ სტრატეგიული ამოცანების ახლებურად გადაწყვეტის ძიებას. შლიფენი აცხადებდა: "ძნელი არ არის იმის თქმა, თუ როგორ უნდა გაანადგურო შენი მოწინააღმდეგე ამგვარი ეფექტური შეიარაღებით, მაგრამ არც იმ პრობლემის გადაწყვეტაა ადვილი, თვითონ როგორ გადაურჩე დაღუპვას ამ ვითარებაში".1

სამხედრო ისტორიის შესწავლის შედეგად შლიფენი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სუსტ არმიებსაც კი აქვთ მოგების შანსი, თუკი ისინი თავიანთ საუკეთესო ძალებს ფლანგებზე მოუყრიან თავს. მტრის ფრონტი არ არის მთავარი მიზანი, მთავარია მოწინააღმდეგის ფლანგების გარღვევა, შემდეგ კი მისი განადგურება ზურგში დარტყმით. ეს სტრატეგია შლიფენმა კართაგენელი მხედართმთავრის ჰანიბალისაგან აიღო, რომელმაც ჩვ. წ. აღ. 216 წელს გაანადგურა რომაელები კანთან. "გიგანტური მასშტაბის კანი", სადაც მიზანი არმია კი არა, მოწინააღმდეგის მთელი ქვეყანაა, საფუძვლად დაედო საფრანგეთთან ომის გეგმას, რომლის მიხედვითაც აუცილებელი იყო ყველა მოქმედების ინტეგრირება - დაწყებული მობილიზაციით, გადაადგილებით, ჯარების სტრატეგიული განლაგებით და დამთავრებული ბრძოლების კოორდინაციით. კლაუზენვიცის პრინციპები იმის შესახებ, რომ ომი აღსავსეა მოულოდნელობით, დავიწყებული იყო. მისი კომპენსირების მიზნით, გერმანიის გენერალურმა შტაბმა დაიწყო გეგმიდან გადახრის ყველა შესაძლო ვარიანტის შემუშავება. "შლიფენის გეგმის" ყველაზე დიდი ნაკლი მეტისმეტი ცენტრალიზაცია და ოპერატიული მოუქნელობა იყო. ოდნავი გადახრაც კი გეგმიდან ოპერაციის ჩაშლას გამოიწვევდა. ფელდმარშალი შლიფენი დარწმუნებული იყო, რომ თუკი გერმანიას გამარჯვება სურდა, მაქსიმალური ძალისხმევით პირველივე ბრძოლებში უნდა გაენადგურებინა მოწინააღმდეგე. ყველა სხვა მოსაზრება, მათ შორის პოლიტიკური ხასიათისაც, უნდა გადაედოთ, თუკი იგი სამხედრო მიზნის მიღწევას – მოწინააღმდეგის განადგურებას ეწინააღმდეგებოდა. გამარჯვებულებს არ ასამართლებენ, ამგვარი იყო გერმანიის არმიის დიდი გენერალური შტაბის დევიზი ორ ფრონტზე ომის მომზადების პერიოდში.

შლიფენს მტკიცედ სწამდა, რომ ძირითადი დარტყმა საფრანგეთისათვის უნდა მიეყენებინა, ამიტომ ეძებდა სუსტ წერტილს მის თავდაცვაში. 1870-1871 წლების ომის

შემდეგ საფრანგეთმა გააცნობიერა თავისი არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობა და მთელი რიგი ღონისძიებანი გაატარა თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად. პირველ რიგში გაამაგრა საფრანგეთ-გერმანიის საზღვარი. შვეიცარიის საზღვრიდან ბელგიამდე აგებული სიმაგრეები და ფორტები საიმედოდ იცავდნენ საფრანგეთის სტრატეგიულ ცენტრებსა და მის გულს – პარიზს. ამ სიტუაციაში შლიფენმა ნახა გამოსავალი, მან გადაწყვიტა მოწინააღმდეგის სიმაგრეებზე კი არ მიეტანა იერიში, არამედ ესარგებლა ბელგიის დაუცველი ტერიტორიით და მოწინააღმდეგისათვის ფლანგიდან მიეყენებინა დარტყმა.

"საფრანგეთის გული ბრიუსელსა და პარიზს შორისაა" – კლაუზენვიცის ეს განცხადება შესანიშნავად იქნა ინტერპრეტირებული "შლიფენის გეგმაში", რომელიც ითვალისწინებდა არა მარტო ბელგიის, არამედ ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის ნეიტრალიტეტის დარღვევას. Gგერმანული არმიების ამოცანა იყო ბელგიის ტერიტორიის გადალახვა ლიეჟისა და ბრიუსელის გავლით, შემდეგ კი მკვეთრი შემობრუნება სამხრეთით, რათა იქიდან თავს დასხმოდა საფრანგეთს. გადამწყვეტი გამარჯვების მისაღწევად შლიფენს აუცილებლად მიაჩნდა გაეძლიერებინა გერმანიის არმიის მარჯვენა ფლანგი, რომელსაც ბელგიის ტერიტორიაზე გავლით უნდა განეხორციელებინა შეტევა. შლიფენი თვლიდა, რომ "თანამედროვე ბრძოლებში მთავარია ბრძოლა ფლანგებზე. ამ ბრძოლაში იმარჯვებს ის, ვისი რეზერვებიც ცენტრის უკან კი არა, არამედ გვერდით, ფლანგებზე იქნება და მიმართულება მიეცემათ არა ბრძოლის დროს, არამედ ბრძოლის ველთან მიახლოებისას. ყველა ძალა გადასროლილ უნდა იქნეს გადამწყვეტი ფლანგის გასაძლიერებლად".1 "შლიფენის გეგმა" პირველად 1894 წელს შედგა. ათი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მისი გადამუშავება და დახვეწა სამეთაურო-საშტაბო სწავლებებზე, ვიდრე 1904 წელს მან არ მიიღო დასრულებული სახე.

საფრანგეთის წინააღმდეგ ლაშქრობის გეგმის შემუშავების დროს შლიფენისათვის მთავარი იყო "კანის იდეა" – მოწინააღმდეგის ორმაგი შემორტყმა და მისი სრული განადგურება. მაგრამ მას არ ჰყავდა საკმარისი ჯარი ორმაგი შემორტყმისათვის, ამიტომ სურდა გერმანიის არმიის 7/8 ნაწილის თავმოყრა მარჯვენა ფლანგზე, ხოლო ცენტრისა და მარჯვენა ფლანგის შესუსტება. გერმანიის არმიის შემავალი ფრთა, რომლის ღერძიც მეცი უნდა ყოფილიყო, 53 დივიზიისაგან შედგებოდა. იგი უნდა გაემაგრებინა სარეზერვო დივიზიებს მათი დაკომპლექტების შესაძლებლობის მიხედვით. ამ დამრტყმელ დაჯგუფებას უნდა გაევლო ბელგია და ჰოლანდიის ნაწილი "მაისტრიხის ყელთან", არმიის ნაწილი უნდა დარჩენილიყო ანტვერპენის დასაცავად, თვითონ კი გაევლო ამენი, აბევილთან გადაელახა მდინარე სომა და დასავლეთიდან შემოევლო პარიზისათვის. ამ დროს მარცხენა ფლანგს პასიური წინააღმდეგობა უნდა გაეწია საფრანგეთის შემტევი ჯარებისათვის. წარმატება მდგომარეობდა იმაში, რომ რაც უფრო ღრმად შეიჭრებოდნენ ფრანგები რეინის აღმოსავლეთით, მით უფრო ადვილი იყო გერმანელთა მარჯვენა ფრთისათვის მათთვის ზურგში დარტყმა. სამხედროებმა ამ სქემას "მბრუნავი კარის სტრატეგია" უწოდეს - რაც მეტად შეუტევდნენ წინ, მით უფრო ძლიერად დაარტყამდნენ ზურგში.

შლიფენი ვარაუდობდა 100-ათასიანი ბრიტანული საექსპედიციო კორპუსის გამოჩენას კონტინენტზე, რომელიც დაეხმარებოდა საფრანგეთს. მაგრამ შლიფენს, ისევე როგორც გერმანული სამხედრო კასტის წარმომადგენელთა უმრავლესობას, ბევრად უკეთესი წარმოდგენა ჰქონდა ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის

შესაძლებლობებზე, ვიდრე ინგლისის სახმელეთო ჯარზე. "შლიფენის გეგმა" ითვალისწინებდა ინგლისისა და საფრანგეთის ჯარების განადგურებას ომის დაწყებით ეტაპზე, ვიდრე გერმანიის იზოლაცია კატასტროფად იქცეოდა.

აღმოსავლეთის ფრონტიც არ დარჩენილა შლიფენის ყურადღების მიღმა, მაგრამ მას მიაჩნდა, რომ რუსეთის არმიის დაბალი საბრძოლო მომზადება, სარკინიგზო მიმოსვლის სისუსტე და მობილიზაციის სიძნელე მას დროს მისცემდა თავდაპირველად საფრანგეთი გაენადგურებინა, შემდეგ კი რუსეთისათვის დაერტყა. რუსეთ-იაპონიის ომში რუსეთის სამარცხვინო დამარცხებამ კიდევ უფრო დაარწმუნა შლიფენი რუსული სამხედრო მანქანის არაკომპეტენტურობაში.

რუსეთის ჯარების წინააღმდეგ შლიფენმა დატოვა მე-8 არმია ათი დივიზიის შემადგენლობით. მათ ამოცანას შეადგენდა მოწინააღმდეგის მოქმედებათა შებოჭვა ძირითადი ძალების მოსვლამდე. "აღმოსავლეთი პროვინციების (აღმოსავლეთ პრუსიის) ბედი გადაწყდება სენაზე და არა ვისტულზე", – არაერთხელ აღნიშნავდა შლიფენი.1 აღმოსავლეთის დაჯგუფების გაძლიერების მიზნით, შლიფენმა აღადგინა ურთიერთქმედება ავსტრია-უნგრეთის გენერალურ შტაბთან და გადაწყვიტა ჰამსბურგთა იმპერიის ჯარების გამოყენება დარტყმების განსახორციელებლად პოლონეთის რუსული ნაწილის და გალიციის მიმართულებით.

შლიფენი გამუდმებით ახსენებდა, რომ საჭირო იყო შემტევი არმიის მარჯვენა ფლანგზე ძალებისა და საშუალებების გაძლიერება. "როდესაც საფრანგეთისკენ გაემართებით, მარჯვენა ფლანგი აუცილებლად უნდა შეეხოს მხრით ლა-მანშს". ბელგიის, ლუქსემბურგისა და ჰოლანდიის ნაწილის ოკუპაციის გეგმის შედგენისას, შლიფენს მიაჩნდა, რომ ეს არ მოახდენდა გავლენას შეტევის საერთო გრაფიკზე.

ომისწინა პერიოდის გერმანელ ოფიცრებს ცოდნისა და მომზადების დონით თავიანთ დარად არავინ მიაჩნდათ კონტინენტზე, ხოლო გენერალური შტაბის ოფიცრები ყოველთვის განსაკუთრებულ ელიტას შეადგენდნენ. მაგრამ მათაც დაავიწყდათ კლაუზენვიცის მთავარი პრინციპი "ომის გაურკვევლობისა და ბურუსის" შესახებ. ერთადერთი კრიტერიუმი, რომელსაც იყენებდნენ გერმანელები, ეს იყო უხეში ძალის ტრიუმფი. დაგეგმვის მოუქნელობის, ურთულესი სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გაუთვალისწინებლობის, მოწინააღმდეგის ძალების შეუფასებლობის გამო, "შლიფენის გეგმა" თავიდანვე განწირული იყო. არ იყო გათვალისწინებული მორალური ფაქტორიც.

როგორც ომის მსვლელობაში გაირკვა, ბელგიელებმა გადაწყვიტეს არ ჩაბარებოდნენ ტყვედ და წინააღმდეგობა გაეწიათ. ბრიტანელები მედგრად იგერიებდნენ გენერალ კლუკის არმიის ყველა შეტევას. რუსები, თავიანთი სიზანტის მიუხედავად, რეკორდულ დროში გადავიდნენ შეტევაზე, ფრანგები კი საოცარ გმირობას იჩენდნენ თავიანთი დედაქალაქის დაცვისას.

1905 წლის დეკემბერში შლიფენი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გადადგა სამსახურიდან. თუმცა მისი წასვლის მიზეზი სულ სხვა იყო: იმპერატორ ვილჰელმ მეორე და მისი გარემოცვა უკმაყოფილო იყო აღმოსავლეთ პრუსიის დასაცავად გამოყოფილი ჯარის სიმცირით. ფელდმარშალი შლიფენი გადადგომის შემდეგაც აგრძელებდა მუშაობას თავდასხმის გეგმებზე. თავის სტატიებში შლიფენი წინასწარმეტყველებდა ცეცხლითი სიმძლავრის დიდ ზრდაზე და, აქედან გამომდინარე, ცვლილებებს ომის წარმოების ტაქტიკაში. "ახალი იარაღის გავლენით შეიცვალა ტაქტიკა. დღეს უკვე ისე ვეღარ ვიბრძოლებთ, როგორც მე-18 საუკუნეში.

უაზრობაა კოლონებად იერიში, როგორც ეს იყო ნაპოლეონის დროს, შეუძლებელია მოწინააღმდეგის განადგურება მსროლელთა მჭიდრო მასით".

სტატიაში "მხედართმთავარი" შლიფენი თავისებურად განმარტავს ომის ხელმძღვანელობის თეორიას. მისი აზრით, მხედართმთავრის გზის მანათობელი სამხედრო მიზანია. მას უნდა დაექვემდებაროს სახელმწიფოს შესაძლებლობები და რესურსები. ომის "მექანიზაციის" მიუხედავად, სამხედართმთავრო კოლექტივში პიროვნების მნიშვნელობა არ იკარგება, მისი ერთი წევრი მაინც უნდა გამოირჩეოდეს გენიოსის ნიშნით. ასეთ პიროვნებას შლიფენი იმპერატორ ვილჰელმის გარემოცვაში ვერ ხედავდა, მით უმეტეს თავის შემცვლელში. სიკვდილის წინ მოხუცი ფელდმარშლის ბოლო სიტყვები იყო: "საქმე ბრძოლამდე უნდა მივიდეს! მარტო მარჯვენა ფლანგი გააძლიერეთ!"

1906 წლიდან დიდ (საიმპერატორო) გენერალურ შტაბს გენერალ-პოლკოვნიკი ჰელმუდ ფონ-მოლტკე-უმცროსი ჩაუდგა სათავეში. იგი ცნობილი ფელდმარშლის ძმისშვილი იყო. მას არ შეუქმნია მნიშვნელოვანი სტრატეგიული და ტაქტიკური სისტემა, ხოლო ისეთი ცნობილი პიროვნებების შემდეგ, როგორებიც იყვნენ მოლტკე-უფროსი და შლიფენი, მისი სახელი, ალბათ, შეუმჩნეველი დარჩებოდა. მაგრამ მოლტკე-უმცროსს წილად ერგო დიდი ამოცანა – თავის წინამორბედთა გეგმების პრაქტიკული განხორციელება.

გენერალურ შტაბში მოლტკე-უმცროსის მეთაურობის დროს ვითარება მსოფლიოში მნიშვნელოვნად გართულდა. რუსეთს, საფრანგეთსა და ინგლისს შორის "გულითადი თანხმობა" (ანტანტა) დამყარდა, მთელი სიძლიერით მიმდინარეობდა საფრანგეთის არმიის გადაიარაღება, დიდი ბრიტანეთი მტრულად განეწყო გერმანიის სამხედრო-საზღვაო პროგრამის მიმართ, რუსეთი კი იაპონიასთან ომში დამარცხების შემდეგ ცდილობდა სწრაფად აღედგინა ძალები.

მოლტკე-უმცროსმა "შლიფენის გეგმის" ძირითადი პრინციპი – შემოვლითი მანევრი ბელგიის მხრიდან – უცვლელი დატოვა. რაც შეეხება გეგმის სტრატეგიულ ვარიანტს, მოლტკე-უმცროსმა გადაწყვიტა გერმანიის მტრების რიცხვისთვის არ მიემატებინა ჰოლანდია, ამიტომ "მაასტრიხის ყელში" შეჭრაზე უარი თქვა. ოპერატიული თვალსაზრისით, შლიფენის გეგმის მიხედვით გათვალისწინებულმა ძალთა განლაგებამ დიდი ცვლილება განიცადა. დამრტყმელი ჯგუფის ბირთვი – მარჯვენა ფლანგი თითქმის არ ძლიერდებოდა ახალი ძალებით, მისი რიცხვი კვლავ 53 დივიზიის დონეზე დარჩა. ცენტრმა და მარცხენა ფრთამ კი გამუდმებით იწყო ზრდა. მოლტკე-უმცროსი ასე ხსნიდა თავის ჩანაფიქრს: "აზრი არ აქვს მთელი ბელგიის გავლას, თუკი საფრანგეთის არმიის ძირითადი ნაწილი ლორენში იქნება თავმოყრილი". მისი ჩანაფიქრით, 320-ათასიან მარცხენა ფლანგს უნდა შეენარჩუნებინა ფრონტი ელზასსა და ლორენში, ცენტრი (400 ათასი კაცი) შეჭრილიყო საფრანგეთში ლუქსემბურგისა და არდენის მხრიდან, მარჯვენა ფლანგს (700 ათასი კაცი) კი უნდა შეეტია ბელგიიდან. მოძრაობის ახალი მიმართულებების მიხედვით, ფლანგებზე მანევრი შემოკლდა და მას დაემატა ორმაგი შემორტყმა დასავლეთიდან. ძალები განაწილდა ფლანგებსა და ცენტრს შორის, რითაც შლიფენის იდეა მარჯვენა გადამწყვეტ ფლანგზე ძალთა კონცენტრაციის შესახებ უხეშად დაირღვა. ახლა "მბრუნავი კარი" არ ურტყამდა მოწინააღმდეგეს უკნიდან, ის, უბრალოდ, გავლის საშუალებას არ აძლევდა.

ომის პირველ თვეებში და განსაკუთრებით ომისშემდგომ პერიოდში ბევრი საყვედურობდა მოლტკე-უმცროსს, რომ მან ვერ გაბედა შლიფენის გეგმის

განხორციელება. განსაკუთრებით კიცხავდნენ იმის გამო, რომ ომის გეგმა კაიზერის ჭირვეულობაზე ააგო, რომელიც, პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, ფართო ფრონტით შეტევის მომხრე იყო და ეწინააღმდეგებოდა დროებითაც კი ერთი გოჯი გერმანული მიწის დაკარგვას. "შლიფენის გეგმა", ნოვატორობისა და თამამი გადაწყვეტილებების მიუხედავად, თავიდანვე განწირული იყო. პოლიტიკური და სოციალური პრობლემების გაუთვალისწინებლობამ, რომლებიც გააძლიერა უხეშმა სამხედრო შეცდომებმა, გამოიწვია თავდაპირველი გეგმის ჩაშლა და წარუმატებლობა მდინარე მარნაზე ბრძოლაში და აღმოსავლეთ პრუსიაში, შემდეგ კი ომის სავალალო დასასრული. საომარ მოქმედებათა გეგმის წინასწარი შედგენის გამოცდილებამ აჩვენა, რომ მხოლოდ სამხედრო ძალებისა და საშუალებების მშრალი გათვლები, სხვა ფაქტორების გაუთვალისწინებლად, თავიდანვე მარცხის ტოლფასია.

გერმანელ სამხედრო მოაზროვნეთა მთავარი დამსახურება ის არის, რომ, ნაპოლეონთან წაგებული ომების გამოცდილებიდან გამომდინარე, შედარებით მოკლე ისტორიულ პერიოდში შეძლეს თავისი ეპოქისათვის ყველაზე ეფექტური და მძლავრი სამხედრო მექანიზმის შექმნა.

გერმანიის სამხედრო აზროვნების ბურჯებმა – კლაუზენვიცმა, მოლტკე-უფროსმა და შლიფენმა თავიანთი თეორიული შეხედულებებით შექმნეს ე.წ. "ელვისებური ომის საფუძველი". იგი ითვალისწინებდა თანამიმდევრულ და ელვისებურ დარტყმებს მოწინააღმდეგის გასანადგურებლად. ოთხწლიანმა მსოფლიო სისხლისღვრამ შეარყია ეს თეორია, თუმცა მისი უარყოფა ვერ შეძლო. გავა ოცი წელი და კომპიენის ტყეში დაზავების შემდეგ მას ხელახლა დაუბრუნდებიან. "ბლიცკრიგის" სტრატეგიის შემქმნელები, პირველი მსოფლიო ომის ყოფილი უმცროსი მეთაურები, შთაგონებისათვის და კითხვებზე პასუხის ძიებაში, მას არაერთგზის გადაიკითხავენ.

---

1 Мольтке, Военные поучения, М.,1938, стр. 82.
2 იქვე, გვ. 71.
3.Мольтке,Военные поучения, стр. 44.
4.Tuchman B.,The guns of August, N.Y.,1994, p. 25.
5. Шлиффен, Канны, М., 1938, стр. 357.
6.Дюпюи, Всемирная история войн,АС,.С-Пб.,2000,стр. 697.
7.Шлиффен, Канны, стр. 213.

სამხედრო აზროვნების განვითარება საფრანგეთში

გენიალურმა სამხედრო და პოლიტიკურმა მოღვაწემ ნაპოლეონ ბონაპარტმა უდიდესი გავლენა მოახდინა საფრანგეთის სამხედრო აზროვნების ჩამოყალიბებაზე. საკუთარი პოლიტიკური მიზნებისათვის სახელმწიფოს მიერ ნაპოლეონის კულტის შექმნა "დიდი კორსიკელის" სამხედრო მემკვიდრეობის რეალური შესწავლისა და გაანალიზების საშუალებას არ იძლეოდა. ამიტომ იმპერატორის მოქმედებათა ლოგიკის გაგება პირველად იმ ქვეყნების წარმომადგენლებმა შეძლეს, რომლებმაც სამარცხვინო მარცხი განიცადეს ნაპოლეონთან ბრძოლაში. პრუსიელი კლაუზენვიცი და შვეიცარიელი ჟომინი, რომელიც რუსეთის არმიაში მსახურობდა, პირველები

იყვნენ, რომლებიც შეეცადნენ შემოქმედებითად გაეაზრებინათ ნაპოლეონის მემკვიდრეობა.

ფრანგული სამხედრო ხელოვნება ჩაკვდა ნაპოლეონ ბონაპარტის ძმისშვილის, ნაპოლეონ მესამის მმართველობის დროს. მიუხედავად საფრანგეთის აქტიური საომარი მოქმედებებისა – ალჟირის დამორჩილება, ყირიმის კამპანია, ომი ავსტრიასთან, მექსიკური ექსპედიცია – სამხედრო აზროვნება მეორე იმპერიის პოლიტიკურ მარწუხებში იყო მოქცეული. საფრანგეთის დახავსებული სახელმწიფო აპარატი სამხედროებს არ აძლევდა საშუალებას ცხოვრების მსვლელობას აჰყოლოდნენ. არ იყო გათვალისწინებული ჯარების, განსაკუთრებით არტილერიის ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, არმია შედგებოდა დაქირავებული პროფესიონალებისაგან, ტაქტიკაში უპირატესობა ენიჭებოდა შეტევით გადაწყვეტილებებს, ხიშტით შეტევის უზენაესობას და ბრძოლის ველზე მჭიდრო საბატალიონო კოლონებად მოწყობას. საყოველთაო სამხედრო ბეგარის შემოღების საკითხმა ვერ პოვა მხარდაჭერა მეორე იმპერიის მაღალ პოლიტიკურ წრეებში, რომელთაც არ სურდათ ხალხის ფართო მასების შეიარაღება. სამეთაურო კორპუსის ტრადიციულად კარგი მომზადების მიუხედავად, მათ უმრავლესობას მხოლოდ კოლონიებში, განსაკუთრებით ალჟირში, ომის წარმოების გამოცდილება ჰქონდა და არ იყო მზად საომარი მოქმედებებისათვის ევროპაში. ძლიერ მოწინააღმდეგესთან დიდი ომისათვის საფრანგეთი მოუმზადებელი აღმოჩნდა, რამაც გამოიწვია მისი სრული მარცხი გერმანიასთან ომში (1870-1871 წწ.).

1870 წლის კატასტროფისა და გადატანილი ეროვნული დამცირების ხსოვნა მუდამ სდევდა ფრანგთა ცნობიერებას. საფრანგეთის რესპუბლიკის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გამბეტა ურჩევდა თანამემამულეებს: "ამაზე არასდროს ილაპარაკოთ, მაგრამ მუდამ გახსოვდეთ".1 საზავო ხელშეკრულების მიხედვით, საფრანგეთს არა მარტო უზარმაზარი კონტრიბუცია (ხუთი მილიარდი ფრანკი) დაეკისრა, არამედ ორი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პროვინციაც – ელზასი და ლორენი – დაკარგა. გაერთიანებულ გერმანიაზე ბევრად უფრო სუსტი საფრანგეთი გამუდმებით თავდაცვით მდგომარეობაში იმყოფებოდა. საფრანგეთის რესპუბლიკა, რომელიც ბევრად ჩამორჩებოდა თავის მოწინააღმდეგეს როგორც მოსახლეობის რაოდენობით (42 მილიონი 60 მილიონის წინააღმდეგ), ისევე ეკონომიკური განვითარებით, ცდილობდა ამ მდგომარეობიდან გამოსავალი ეპოვა. როგორც კი მიხვდა, რომ მარტო ვერაფერს გახდებოდა გერმანიასთან პაექრობაში, საფრანგეთმა ხელშეკრულება დადო რუსეთსა და დიდ ბრიტანეთთან, რასაც შემდგომში "ანტანტის" შექმნა მოჰყვა. ეკონომიკურ სფეროში კაპიტალიზმის აყვავებამ, რომელიც ეძებდა გასაღების ახალ ბაზრებს, უბიძგა საფრანგეთს კოლონიების დაპყრობისა და ვრცელი იმპერიის შექმნისაკენ. სამხედრო სფეროშიც დიდი ცვლილებები მოხდა: შემოღებულ იქნა საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სამსახური, დაიწყო არმიის რეორგანიზაცია და გადაიარაღება, საფრანგეთ- გერმანიის საზღვარზე დაიწყო თავდაცვითი წინაღობების მშენებლობა: ციხესიმაგრეების პირველი ზოლი – ბელფორ-ეპინალი და ტულ-ვერდენი იცავდა აღმოსავლეთ საზღვარს, ხოლო მობეჟ-ლილის ხაზი – მის დასავლეთ ნაწილს. გერმანიაზე ბევრად სუსტი საფრანგეთი 1870-1890-იან წლებში თავდაცვით სტრატეგიას მისდევდა, რომლის მიზანიც იყო საზღვრის მიმდებარე ოლქების შენარჩუნება და მოწინააღმდეგის დაუძლურება, შემდეგ კი ძლიერი კონტრშეტევით აგრესორის შეიარაღებული ძალების განადგურება. მაგრამ, საფრანგეთის ყოფილი ძლიერების აღდგენასთან ერთად მოსახლეობას აღიზიანებდა

მარტო თავდაცვითი დოქტრინა. მალე მოიძებნა პასუხი, რომელიც სავსებით შეესაბამებოდა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებსა და მოსახლეობის ხასიათს. ეს იყო "ელან ვიტალის", ანუ დაუმარცხებელი აღტყინების იდეა. შეტევის, წინსწრაფვის იდეოლოგია, რომელსაც არაფერი აკავებს და, ყველაფრის მიუხედავად, დარტყმას დარტყმაზე აყენებს მოწინააღმდეგეს მის სრულ განადგურებამდე – აი, სამხედრო ხელოვნების ის ახალი მიმართულება, რომელშიც ფრანგები თავისი ეროვნული სიძლიერის აღდგენას ეძებდნენ და რითაც ისინი პირველი მსოფლიო ომის დასაწყისთან მივიდნენ.

"ელანის" თეორია ძალზე დროული აღმოჩნდა. გერმანიასთან დამარცხებით თავზარდაცემული საფრანგეთის არმია გამუდმებით თავდასხმის მოლოდინში იყო. აცნობიერებდა რა თავის უმწეობას, მან ნელ-ნელა დაიწყო თავისი საბრძოლო თვისებების დაკარგვა, პოლიტიზირება და სოციალურად გახრწნა. მეტროპოლიის არმიამ, რომელსაც, განსხვავებით კოლონიურისაგან, ლეთარგიული, კლერიკალური და რეაქციონერული მექანიზმის რეპუტაცია ჰქონდა, თანდათან დაკარგა თავისი ცნობილი საბრძოლო სულისკვეთება. "ბულანჟიზმმა" – აგრესიული სამხედრო დიქტატურის იდეოლოგიამ, რომელიც რევანშის იდეით ინიღბებოდა, შემდეგ კი "დრეიფუსის საქმემ" საფრანგეთის არმიას საბოლოოდ გაუტეხა სახელი. არმიისათვის აუცილებელი იყო იდეა, რომელიც პოლიტიკური ინტრიგების ქსელიდან დაიხსნიდა, შეაბრუნებდა საზოგადოებრივ აზრს და აღადგენდა "ფორმიანი კაცის" პრესტიჟს. "ელანის" იდეოლოგია დაიბადა ცნობილი ფილოსოფოსის ბენგერსონის ნაშრომებიდან. ახალი, ძლიერი და ფერფლიდან აღმდგარი საფრანგეთი, შეიარაღებული 1789 წლის უკვდავი იდეებით _ აი, რას წარმოადგენდა "ელანი". ამაზე დაფუძნებული იდეოლოგია იყო ის ახალმონაბერი სიო, რომელიც ასე სჭირდებოდა ფრანგულ ჯარს.

"ელან ვიტალის" თეორიის შექმნამდე ფრანგ სამხედრო მოაზროვნეებს გრძელი გზის გავლა მოუხდათ. "ელანამდელი" პერიოდის თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ ლევალი, არდანტ დუ პიკტი და ბონალი.

გენერალი ლევალი მესამე რესპუბლიკის ერთ-ერთი პირველი სამხედრო მოღვაწე იყო, რომელიც შეეცადა სამხედრო საქმის მეცნიერული ორგანიზაცია განეხორციელებინა. მისი აზრით, მასობრივი არმიების ბრძოლის დროს "საქარხნო" წარმოებამ უნდა შეცვალოს ცალკეულ პიროვნებაზე დამოკიდებული ოსტატობა სამხედრო საქმეში. თანამედროვე ომი მას ესმოდა როგორც ვეებერთელა შეჯგუფებული მასების სწორხაზოვანი მოძრაობა ერთმანეთის წინააღმდეგ. მოწინააღმდეგეზე გამარჯვების მისაღწევად, ლევალის აზრით, მხოლოდ ერთი ხერხი არსებობს – შეტევა.

"შესრულების გაბედულობა და სისწრაფე კამპანიის გეგმაში შეპარულ შეცდომებს ყოველთვის შეასწორებს"1 . ლევალი ურჩევდა, ყოველთვის შეეტიათ მოწინააღმდეგისათვის და ანგარიში არ გაეწიათ მსხვერპლისათვის. მაგრამ ამავე დროს აცნობიერებდა, რომ თავდაცვის გარეშე არ არსებობს შეტევა, რომ ისინი ერთმანეთთან არიან დაკავშირებული. თავის შრომებში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მორალურ ფაქტორს, ფიქრობდა, რომ მისი როლი მნიშვნელოვნად მცირდება არმიის რაოდენობის ზრდასთან ერთად.

სამხედრო კონფლიქტის დროს მორალური ფაქტორის უზენაესობის იდეის ფუძემდებლად შარლ არტანტ დუ პიკტი ითვლება. იგი დაიღუპა 1870-71 წლების საფრანგეთ-პრუსიის ომში, მაგრამ გარდაცვალებამდე მოასწრო თავისი წიგნის -

"ეტიუდები ომზე" – გამოცემა. მასში კითხვა-პასუხის სახით ცდილობდა აღენიშნა ყველაფერი, რაც ირგვლივ ხდებოდა. წიგნში თვითმხილველის მიერ ნაამბობი ფაქტობრივი მასალაა თავმოყრილი. თავის კვლევის საფუძველზე დუ პიკტმა უჩვენა, რომ, მოწინააღმდეგის უდიდესი მატერიალური და რაოდენობრივი უპირატესობის მიუხედავად, ფრანგი ჯარისკაცები, მორალური თვისებების წყალობით, გმირობისა და სიმამაცის სასწაულებს ახდენდნენ. მას მიაჩნდა, რომ ომებს იგებენ არა შეიარაღების რაოდენობით, არამედ ჯარისკაცების სიმტკიცით ბრძოლის დროს. მეთაურმა უნდა იცოდეს თავისი უმთავრესი იარაღის _ ადამიანის სწორი შეფასება და გამოყენება.2

ფრანგული სამხედრო აზროვნების თვალსაჩინო წარმომადგენელმა გენერალმა ბონალმა, რომელიც თანამედროვე ომის ქაოსური ტენდენციებიდან მეცნიერულ გამოსავალს ეძებდა, "თავდაცვითი შეტევის" თეზისი წამოაყენა. მისი აზრით, ყოველთვის უნდა დაიტოვო მოქმედების მაქსიმალური თავისუფლება და შეინარჩუნო ინიციატივა. ამის მიღწევა შესაძლებელია ჯარების ღრმა ეშელონირების, ავანგარდის გაძლიერების (რომელიც ძირითად დარტყმას იღებს) და სტრატეგიული რეზერვების არსებობის წყალობით. ბონალი განიხილავდა სტრატეგიას როგორც ტაქტიკურ შეტაკებას, მაგრამ უფრო დიდი მასშტაბით. იგი ამტკიცებდა, რომ ღრმად განლაგებულმა ჯარებმა, წინ წამოწეული ავანგარდით, უნდა აიძულოს მოწინააღმდეგე გაიშალოს და ჩაერთოს ბრძოლაში, ძირითადი ძალები კი ახორციელებენ შემოვლას ფლანგებიდან და ამით აღწევენ გამარჯვებას.

"ელანის" თეორიის ფუძემდებელია საფრანგეთის გენერალური შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი ლუი გრანმეზონი (1861-1915 წწ.). მისი აზრით, გამარჯვების მიღწევაში მთავარი როლი "ფრანგულ სულს" უნდა შეესრულებინა. გამარჯვების წადილი და მისკენ დაუოკებული სწრაფვა– აი, რა არის ძირითადი თანამედროვე ომში. გრანმეზონის სამხედრო თეორიის არსი იყო "ოფენსივ ა ულტრანს"– შეტევა ბოლომდე. მისი უმნიშვნელოვანესი ელემენტი ინიციატივის ხელში ჩაგდება იყო, მოქმედების თავისუფლება კი მოწინააღმდეგისათვის საკუთარი ნების თავზე მოხვევის გზით მიიღწევა.

გრანმეზონი მოითხოვდა მხოლოდ შეტევას, რომელიც სწრაფად და მთელი ძალით უნდა წარმართულიყო. არმია უნდა განლაგებულიყო ერთ ხაზზე, ფლანგებისა და რეზერვების გარეშე. პოლკოვნიკ გრანმეზონს მიაჩნდა, რომ "ელანს" ტყვია არ შეეხება – იდეის მოკვლა ხომ შეუძლებელია. მან თავისებურად ახსნა ნაპოლეონის სიტყვები, რომ "ბრძოლაში მორალური და ფიზიკური ელემენტების შეფარდება ისეთივეა, როგორც სამი ერთთან", და დაივიწყა, რომ იარაღი ჯარისკაცის მამაცობის გარეშე გამოუსადეგარია, მაგრამ ყველაზე გამბედავი ჯარისკაცებიც კი იარაღის გარეშე ვერ დაიცავენ თავიანთ სულისკვეთებას.

თავის გამოსვლებში პოლკოვნიკი გრანმეზონი მოითხოვდა, რომ არმიის ყოველ მოქმედებაში ყოფილიყო წინსვლითი მოძრაობის, ანუ შეტევის კვალი: "მოწინააღმდეგე ყოველთვის შენს მოქმედებებს უნდა დაუმორჩილო და აიძულო გადავიდეს თავდაცვაზე. ამით თავს დაიცავ თავდასხმისაგან. შეტევისა და თავდაცვის მონაცვლეობა მომაკვდინებელია შეტევისათვის. ეშელონირება არ არის საჭირო, რადგან იგი არმიის ნაწილს ჩამოაშორებს ზოგად შეტევას."

თეზისმა იმის შესახებ, რომ მხოლოდ შეტევა შეეფერება ფრანგი ჯარისკაცის ტემპერამენტს, თავისი გამოყენება პოვა ფრანგული არმიის 1913 წლის საველე

წესდებაში, სადაც აღნიშნული იყო, რომ "ფრანგული არმია, რომელიც დაუბრუნდა თავის ტრადიციებს, შეტევის გარდა არავითარ სხვა კანონს არ ცნობს".

ომისწინა პერიოდის საფრანგეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამხედრო მოაზროვნე იყო გენერალი, შემდგომში მარშალი Fფერდინანდ ფოში (1851-1929 წწ.), რომელმაც, უმაღლესი სამხედრო სკოლის (აკადემიის) ხელმძღვანელობის პერიოდში, არაფერი დაიშურა "ელანის" თეორიის განვითარებისათვის. მისი დევიზი იყო "გამარჯვება _ ეს არის ნებისყოფა!".

თავის ცნობილ შრომებში - "ომის პრინციპების შესახებ" (1903 წ.) და "ომის წარმოების შესახებ'' (1904 წ.) – მან შექმნა საფრანგეთსა და გერმანიას შორის მომავალი ომის წარმოების ერთიანი თეორია.

ფოშმა განავითარა სამხედრო საქმის შესწავლის გამოყენებითი მეთოდი. რადგან კარგად იცნობდა სამხედრო მოქმედების თეატრს _ მდინარე რენს, მაასსა და ბელგიის საზღვრებს შორის ტერიტორიას, ამასთან ხელმძღვანელობდა რა მხარეების მოქმედებით საფრანგეთ-პრუსიის 1870-71 წლების ომში, ფოშმა დაიწყო მომავალი კონფლიქტის დროს მოქმედებების დაგეგმვა. "ახლა, როცა გავეცანით 1870 წლის ომს და საუკუნის დასაწყისის (ნაპოლეონის) ომებს შევადარეთ, გადავიდეთ იმის შესწავლაზე, რისთვისაც საჭიროა მზადება1", _ არაერთხელ უთქვამს მას თავისი მოსწავლეებისათვის.

ფოშმა, რომელიც ღრმად იცნობდა კლაუზენვიცის მოძღვრებას, უარი თქვა მის თეზისზე წინასწარ დაგეგმილი ომის შესახებ. იგი ყოველთვის ასწავლიდა იმპროვიზირებისა და პირობების გამოყენების ხელოვნებას და, რაც მთავარია, ასწავლიდა ფიქრს. "წესების ცოდნა კარგია მზადების პერიოდში, მაგრამ საფრთხის დროს მათგან დიდ სარგებლობას არ უნდა ელოდეთ".

იყენებდა რა ნაციონალისტურ რიტორიკას, მას სურდა ეჩვენებინა, რომ 1870-71 წლების ომში გერმანელების გამარჯვება განაპირობა მხოლოდ ნაპოლეონის მოქმედებათა ტაქტიკის კარგმა ცოდნამ, ხოლო ფრანგების დამარცხება – მისმა სრულმა იგნორირებამ. ფერდინანდ ფოში მოითხოვდა მიემართათ პირველწყაროსათვის – ნაპოლეონისათვის და არა ნახევრად ფილოსოფოსი, ნახევრად სამხედრო პრუსიელი კლაუზენვიცისათვის. მას სურდა დაემტკიცებინა, რომ მოლტკე-უფროსი და გერმანიის გენერალური შტაბი "სახელგანთქმული კორსიკელის მხოლოდ ეპიგონები იყვნენ და თავისი არაფერი შეუქმნიათ. მისი სურვილი იყო ნაპოლეონის სამხედრო ხელოვნების რეკონსტრუქცია და მისი გადაქცევა საფრანგეთის სამხედრო დოქტრინად.

ფერდინანდ ფოში მორალური ძალების პრიორიტეტის ერთ-ერთი ყველაზე მხურვალე მხარდამჭერი იყო. იგი ასე ეხმაურებოდა ომის წარმოების მორალურ ნიშნებს: "გამარჯვებულთა დაფნის გვირგვინი მოწინააღმდეგის ხიშტებზე ჰკიდია, მის მოსაპოვებლად საჭიროა ერთი ნების ბრძოლა მეორის წინააღმდეგ"1 . ომის წარმოების მხოლოდ მატერიალურ ფაქტორებზე დაფუძნებულ თეორიებს ის მცდარად და საზიანოდ მიიჩნევდა. არმიის რიცხოვნობის ზრდასთან ერთად მორალური ფაქტორიც სულ უფრო უნდა გაიზარდოს. "გამარჯვების სურვილი – გამარჯვების პირველი პირობაა".

სამხედრო საქმის თანამედროვე განვითარება, ფოშის აზრით, სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება. ესენია: "ეროვნული დაკომპლექტება, არმიის რიცხოვნობის ზრდა და იარაღის სრულყოფა". შეტევა და ბრძოლა უნდა წარმოებდეს მთელი გაერთიანებული ძალებით. რეზერვს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება გამარჯვების

უზრუნველყოფაში. ფოში განსაკუთრებით უსვამდა ხაზს შეტევის სისწრაფეს და მიაჩნდა, რომ მხოლოდ გადამწყვეტი იერიშით შეიძლება სასურველი შედეგის მიღწევა.

"ელანის" მოძღვრებაზე დაფუძნებულმა სამხედრო სისტემამ, რომლის შექმნასაც ფოშმა, გრანმეზონმა და მრავალმა სხვამ ათწლეულები შეალია, პირველი მსოფლიო ომის პირველივე დღეებში სრული კრახი განიცადა. ფრანგული ჯარების ფიზიკურად ძლიერი, თავდადებული და მამაცური შეტევები გერმანელების არტილერიისა და ტყვიამფრქვევების მეთოდური ცეცხლით დაცხრილული აღმოჩნდა. 1915 წლის იანვარშივე Fფერდინანდ ფოშმა თხოვნით მიმართა თავისი შტაბის ოფიცრებს, დაევიწყათ ყველაფერი, რაც კი ოდესმე მას უსწავლებია.

1911 წელს საფრანგეთის გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობაზე დაინიშნა გენერალი ჟოზეფ ჟოფრი. მისი დანიშვნის შემდეგ "ელანის" მომხრეებს საშუალება მიეცათ ოფიციალურად უკუეგდოთ გერმანიასთან ბრძოლის ძველი თავდაცვითი გეგმა და შეექმნათ ახალი, რომელიც ისტორიაში შევიდა "გეგმა 17"-ის სახელწოდებით. ეს გეგმა იყო თავდაუზოგავი შეტევის სტრატეგიის ტრიუმფი და საბედისწერო შეცდომა, რაც საფრანგეთს ათასობით ადამიანის სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

"გეგმა-17"-ის მიღების რამდენიმე მიზეზი არსებობდა: ჯერ ერთი, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის გენერალური შტაბი ამუშავებდა გერმანიის მიერ ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევის საკითხს, არ არსებობდა დამამტკიცებელი ფაქტი, რომ გერმანიის სარდლობა გადადგამდა ამ მცდარ ნაბიჯს; მეორე, საფრანგეთის სამხედრო დაზვერვამ დიდი შეცდომა დაუშვა გერმანიის არმიის დივიზიების დათვლაში. მას მიაჩნდა, რომ საერთო რაოდენობა 68 ქვეითი ჯარის დივიზიაზე მეტი არ იქნებოდა, მაშინ როცა სინამდვილეში 84 აღმოჩნდა. საფრანგეთის სარდლობამ ვერ შეაფასა სათადარიგო დივიზიების გამოყენების შესაძლებლობა და ჩათვალა, რომ გერმანელებს უბრალოდ არ ეყოფოდათ ძალები ერთდროულად შემოვლითი მანევრისათვის ბელგიის გავლით და ცენტრის გასამაგრებლად.

იცოდნენ რა გერმანიის მიერ მობილიზაციის ჩატარების სისწრაფის შესახებ, ფრანგი სამხედრო სტრატეგები ცდილობდნენ, გაეზარდათ თავისი რეგულარული ჯარების რაოდენობა და მოწინააღმდეგის ძირითადი ძალა რეზერვის მოსვლამდე გაენადგურებინათ. ამ მიზნის მისაღწევად 1913 წელს საფრანგეთში მიიღეს კანონი, რომლის მიხედვითაც სამხედრო სამსახურის ვადა ორიდან სამ წლამდე გაიზარდა. ამ კანონის წყალობით, რეგულარული ჯარის რიცხოვნობამ მოიმატა, მაგრამ შემცირდა რეზერვი. ომის დასაწყისში საფრანგეთმა შეძლო ბრძოლის ველზე გამოეყვანა 21 საარმიო კორპუსი, 24 სარეზერვო და 4 ტერიტორიული დივიზია, აგრეთვე 10 ცხენოსანი დივიზია – სულ 1 მლნ 325 ათასი ადამიანი. მაგრამ "გეგმა 17"-ის მიღების ძირითადი ფაქტორი ის ურთიერთობა იყო, რომელიც დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის სამხედრო უწყებებს შორის დამყარდა. მოკავშირე ქვეყნების გენერალური შტაბების ხელმძღვანელთა შეხვედრები ჯერ კიდევ 1905 წელს დაიწყო, 1912 წლისთვის უკვე შემუშავებული იყო ერთობლივი მოქმედებების გეგმა გერმანიასთან ომის შემთხვევაში. ამ გეგმით, დიდი ბრიტანეთი ვალდებულებას იღებდა, საფრანგეთ-გერმანიის ფრონტის მარცხენა ფლანგის ჯარების გაძლიერების მიზნით, კონტინენტზე გაეგზავნა თავისი საექსპედიციო კორპუსი არანაკლებ 150 ათასი კაცის რაოდენობით.

საფრანგეთის გენერალური შტაბი, მიუხედავად თავისი "ელანური" იდეოლოგიისა და ფოშის სიტყვებისა, რომ მომავალ ომში გერმანია უნდა დამარცხდეს "მაინციდან ბერლინზე შეტევით", მაინც ცდილობდა გაეთვალა ბელგიის ტეროტორიიდან თავდასხმის ვარიანტები. ჟოფრის დანიშვნამდე გენერალური შტაბის მეთაური, გენერალი მიშელი თვლიდა, რომ გერმანელები საფრანგეთის ტერიტორიაზე შესაჭრელად ისარგებლებდნენ ბელგიის და ლუქსემბურგის დაუცველი ტერიტორიებით. იგი სთავაზობდა, პარიზის დასაცავად ჯარების ძირითადი მასა ბელგიის საზღვრებთან განელაგებინათ. მაგრამ ამ გეგმის თავდაცვითმა ხასიათმა გამოიწვია როგორც პოლიტიკოსების, ისე სამხედროების უკმაყოფილება. მალე გენერალი მიშელი თანამდებობიდან გადააყენეს.

"გეგმა 17" თავისი არსით არ იყო მკაფიოდ გააზრებული და მასში პირველი შეტევის შემდეგ არაფერი იყო დაგეგმილი, მხოლოდ პირველდაწყებით ელვისებურ მოქმედებებს ითვალისწინებდა, რომელთა მიზანიც მოწინააღმდეგის რეგულარული ჯარების განადგურება იყო მათ მიერ მობილიზაციის სრულ დასრულებამდე, შემდეგ კი აუცილებელი იყო თავისი წარმატებები ბერლინის მიმართულებით განევითარებინათ. გეგმის მიხედვით, პირველ და მეორე საველე არმიებს (მარჯვენა ფრთა) უნდა განეხორციელებინა დარტყმები ლორენის სიღრმეში, რათა სასწრაფოდ გაეთავისუფლებინა 1871 წლიდან ოკუპირებული ტერიტორიები _ ომის პოლიტიკური მიზანი. მარცხნიდან მეცის სიმაგრეს შეუტევდა მესამე და მეხუთე არმია (მარცხენა ფრთა). მათ ამოცანას შეადგენდა მეცსა და ტიონვილს შორის შეერთება პირველ და მეორე არმიებთან. იმ შემთხვევაში, თუკი გერმანელები ლუქსემბურგის მხრიდან დაიწყებდნენ შეტევას, მარცხენა ფრთის არმიებს (მესამე და მეხუთე) მათთვის უნდა დაერტყათ ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ფლანგში. მეოთხე არმია სტრატეგიულ რეზერვში რჩებოდა და მზად უნდა ყოფილიყო გაეძლიერებინა ან მარჯვენა, ან მარცხენა ფრთა.

"გეგმა 17"-ის თავისებურება ის იყო, რომ მომავალ ომში იგი ჯარების განლაგების საკითხს უფრო ეხებოდა, ვიდრე მათ საბრძოლო გამოყენებას. მასში მითითებული იყო შეტევის შესაძლო მიმართულებები ყოველი არმიისათვის, მაგრამ მხოლოდ ვითარებიდან გამომდინარე, ანუ დამოკიდებული იყო იმაზე, როგორ და სად დაიწყებდა მოწინააღმდეგე თავის მოქმედებას. "ელანის" ყოველგვარი რიტორიკის მიუხედავად, ფრანგი სამხედრო სტრატეგები დაგეგმვის პირველივე ეტაპზე ინიციატივას მოწინააღმდეგეს უთმობდნენ. საფრანგეთის გენერალური შტაბის გეგმას ჯერ კიდევ ემჩნეოდა 1870 წლის ომის გავლენა, რომელიც მხედართმთავრებს შემოქმედებით ინიციატივას უზღუდავდა. დაგეგმვის გერმანული სტილისაგან განსხვავებით, სადაც ყველაფერი წინასწარ იყო გათვლილი და მოქმედების ზუსტ გრაფიკში მოქცეული, ფრანგული გეგმა მხოლოდ დაწყებით მითითებებს იძლეოდა, მათი შემდგომი განვითარება კი მომავლისთვის იყო მოტოვებული. არსებითად, "გეგმა 17" მხოლოდ საპასუხო მოქმედებების გეგმა იყო გერმანიის ჯარების შეტევის მოსაგერიებლად, რომელთა მოძრაობის მიმართულება ფრანგებისათვის უცნობი იყო ბოლო წუთამდე. ბელგიის მხრიდან შემოვლითი მანევრის შემთხვევაში საფრანგეთის ჯარს უნდა მოესწრო მოწინააღმდეგის ცენტრისა და მარცხენა ფლანგის განადგურება, შემდეგ კი, ბრიტანეთის საექსპედიციო კორპუსთან ერთად, თავისი ბაზისაგან უნდა მოეწყვიტა შეტევაზე გადმოსული გერმანელების მარჯვენა ფლანგი და გაენადგურებინა იგი.

ისტორიამ არაფრით არ უნდა დაუშვას ამ გეგმის ოდნავი გამართლებაც კი. გეგმის მიხედვით, ფრონტალური შეტევა მოწინააღმდეგე ძალთა თანაფარდობით უნდა განვითარებულიყო, მაშინ როდესაც ეს შეფარდება უნდა ყოფილიყო 3:1-თან. ამასთან მოწინააღმდეგეს (გერმანიას) შეეძლო თავის გამაგრებულ სასაზღვრო ზონაზე დაყრდნობა, შემტევი (საფრანგეთი) კი უარს აცხადებდა მისი სიმაგრეების გამოყენების ყველა უპირატესობაზე.1

კიდევ ორმა ფაქტორმა იქონია გავლენა "გეგმა 17"-ის უუნარობაზე: პირველი დაკავშირებული იყო იმასთან, რომ საფრანგეთის გენერალური შტაბი და პირადად გენერალი ჟოფრი ძალზე დიდ იმედებს ამყარებდნენ თავიანთ რუს მოკავშირეზე, რომელსაც დასავლეთის ფრონტისაგან გერმანელთა დიდი ძალები უნდა მოეწყვიტა; მეორე იყო თანამედროვე ომში რეზერვისტთა როლის აშკარა უარყოფა. "ელანის" მთელი თეორია გულისხმობდა, რომ ელვისებური იერიშის დროს გარღვევაზე წასვლა შეეძლო მხოლოდ ახალგაზრდებს და არა ოჯახური და საზოგადოებრივი ვალდებულებებით დატვირთულ ბურჟუას. ომისწინა საფრანგეთში ყველა პირი, საყოველთაო სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ, 23-დან 34 წლამდე ასაკობრივი ცენზით, ირიცხებოდა საერთო რეზერვში. მათი რიცხვიდან შემდგომში კომპლექტებოდა სათადარიგო დივიზიები ზურგის და საგარნიზონო სამსახურისათვის. სამხედროები თვლიდნენ, რომ რეზერვისტთა და რეგულარული არმიის ჯარისკაცთა შერევა არმიის შეტევით აღტყინებას დაწევდა. რეზერვისტების გამოყენების საკუთარი კონცეფციიდან გამომდინარე, ფრანგებს მიაჩნდათ, რომ არც გერმანელები შეურევდნენ თავიანთ სახაზო ჯარებს რეზერვისტებს _ "ლანდვერს". ამგვარი გათვლების საფუძველზე, საფრანგეთის გენერალურმა შტაბმა მცდარი დასკვნა გამოიტანა: მათ ჩათვალეს, რომ მოწინააღმდეგეს არ ეყოფა ძალები ბელგიაში შესაჭრელად და თავისი ცენტრის და მარცხენა ფლანგის გასამაგრებლად. მაგრამ გერმანელი რეზერვისტები იმდენად კარგად აღმოჩნდნენ მომზადებულნი, რომ მათ მაშინვე აგზავნიდნენ ფრონტის ხაზზე. ამის წყალობით, გერმანიის გენერალურმა შტაბმა ორ-სამჯერ მეტი რიცხობრივი უპირატესობა მოიპოვა შეტევის გადამწყვეტ მონაკვეთზე.1

ბედის ირონიით, "გეგმა 17" ყველაზე მეტად გერმანიის გენერალურ შტაბს აწყობდა. იგი სწორედ იქით იყო მიმართული, სადაც მას ყველაზე მეტად ელოდნენ.

ომის პირველივე დღეებში, როცა საფრანგეთის შეტევა ლორენში წარუმატებლად დამთავრდა, ხოლო გერმანიის დივიზიების ძირითადი მასა პარიზს შემოაწვა, აშკარა გახდა, რომ "გეგმა 17"-ის განხორციელებას ბედი არ ეწერა. საფრანგეთს დასჭირდა მთელი თავისი ეროვნული ძალის მაქსიმალური დაძაბვა, რომელიც "მარნის სასწაულად" იქცა, რომ შეეჩერებინა გერმანელების წინსვლა. საფრანგეთს, თავისი გენერლების მცდარი გათვლებისთვის ძვირად უნდა გადაეხადა. პირველივე ბრძოლებში დაიღუპა, დაიჭრა და უგზოუკვლოდ დაიკარგა 300 ათასი ფრანგი ჯარისკაცი. წინ კიდევ ომის ოთხი სისხლიანი წელი იყო.

---

1. Tuchman B., Guns of August, p. 29.
2. Стратегия в трудах военных классиков, М.,1924, стр. 155.
3. Makers of modern strategy, Princeton, 1986, p. 515.
4. Tuchman,Guns of August, p. 32.
5. Makers B., of modern strategy, p. 514.
6. Лиддел-Гарт Б., Правда о войне, М.,1935, стр. 45.

7. Дюпюи, Всемирная история войн,стр. 685.

სამხედრო აზროვნება რუსეთში

რუსეთში სამხედრო აზროვნების განვითარება ქანქარას წააგავდა: იგი ხან "მედასავლეთეობისკენ" იხრებოდა, ანუ იტაცებდა ევროპის სამხედრო მიღწევები, ხან კი "რუსული სამხედრო მოდელის" ძიებას იწყებდა. პირველი მიმართულების წარმომადგენლებს ყველაფრის გადმოღება სურდათ ევროპიდან – სამხედრო ფორმით დაწყებული და საველე წესდებით დამთავრებული. "რუსული ეროვნული სკოლის" თაყვანისმცემლები კი ცდილობდნენ, ეროვნულ ნიადაგზე დამდგარიყვნენ და სამხედრო საქმეში რუსული სპეციფიკა და თავისებურებანი გაეთვალისწინებინათ. გენიალური სუვოროვის ფენომენისა და 1812 წლის გამარჯვებათა მოშველიებით, მათ სურდათ დაემტკიცებინათ, რომ რუსული სამხედრო სკოლა არათუ არაფრით ჩამორჩება, მოწინავეც კი იყო ევროპულთან შედარებით.

მე-18 საუკუნის დასაწყისში პეტრე პირველის მიერ გატარებული რეფორმების შემდეგ რუსული არმიის განვითარება ყოველთვის დასავლეთის მოდელით მიმდინარეობდა. 1812 წლის სამამულო ომში გამარჯვებამ და შემდგომმა განმათავისუფლებელმა ლაშქრობებმა ევროპაში ეს ტენდენციები მხოლოდ გააძლიერა. იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მეფობისა და დაწყებული რეაქციის დროს სამხედრო საქმის განვითარებაში უძრაობის ხანა დგება, რომელიც ყირიმის ომში სამარცხვინო დამარცხებით დამთავრდა.

მე-19 საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება სამხედრო რეფორმების გატარება და პარალელურად ომის წარმოების საკუთარი - რუსული მეთოდის ძიება. ფართომასშტაბიანი რეფორმების გატარების მთავარი პრობლემა ბატონყმობა იყო. საუკუნეების განმავლობაში ჯარში მიჰყავდათ ყმა-გლეხები თითქმის მუდმივი ვადით – 25 წლით. ეს ღონისძიება დიდი არმიის შექმნის შესაძლებლობას იძლეოდა, მაგრამ სახელმწიფოს თითქმის არ ჰყავდა ბრძოლისუნარიანი რეზერვი. რიგითი სამხედრო მოსამსახურეები, ფაქტობრივად, არავითარ გასამრჯელოს არ იღებდნენ, ამასთან დათხოვის შემდეგაც პერსპექტივა არ ჰქონდათ, ამიტომ ისინი მიჯაჭულნი იყვნენ თავიანთ შენაერთებს. ოფიცრებს, რომლებიც მხოლოდ არისტოკრატიული წრის წარმომადგენლები იყვნენ, სამხედრო განათლება თითქმის არ გააჩნდათ. მათი მხოლოდ მცირე ნაწილი (17%) სწავლობდა სამხედრო სკოლებში და შემდეგ აგრძელებდა სამსახურს ელიტარული გვარდიის პოლკებში.1

მილიუტინის რეფორმა (რომელიც სამხედრო სამინისტროს 1861 წლიდან 1881 წლამდე ხელმძღვანელობდა) რამდენიმე ამოცანას ისახავდა. ესენია: არმიის ადმინისტრაციული სტრუქტურის გაუმჯობესება; რეგულარული არმიის რაოდენობრივი შემცირება; რეზერვის შექმნა და ჯარების ტექნიკური გადაიარაღება. სამხედრო რეფორმის ერთ-ერთი დამსახურება ის იყო, რომ მან საოფიცრო კორპუსის კარი გაუხსნა ვაჭართა და გლეხთა ფენას.

სამხედრო რეფორმების გატარებისას რუსეთისათვის მისაბაძი მაგალითი პრუსია იყო. მათ გაიზიარეს 1806 წელს ნაპოლეონთან დამარცხების შემდეგ პრუსიის არმიის რეფორმების გამოცდილება, აგრეთვე 1860 წლის წარმატებული რეფორმების

შედეგები. იმავდროულად მილიუტინი აცხადებდა, რომ მთავარი მის რეფორმებში სუვოროვისა და კუტუზოვის ძველი არმიების "სულისკვეთების" აღდგენა იყო.

რეფორმების ჩატარების შედეგად არმიისა და საოფიცრო კორპუსის ავტორიტეტი ნელ-ნელა დაეცა. ოფიცრები მცირე ფულად ანაზღაურებას იღებდნენ, რუსეთის ეკონომიკამ კი აყვავება იწყო. ამიტომ ახალგაზრდობის დიდმა ნაწილმა თავისი მომავალი არმიას კი არა, არამედ ვაჭრობას, მრეწველობასა და აკადემიურ მეცნიერებებს დაუკავშირა. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გენიალურობის ბუმმა, რომელსაც ადგილი ჰქონდა რუსულ მხატვრობაში, ლიტერატურასა და მუსიკაში, გვერდი აუარა სამხედროებსა და სამხედრო საქმეს. ეს იმითაც იყო განპირობებული, რომ რეაქციამ, რომელიც მოჰყვა იმპერატორ ალექსანდრე II-ის მკვლელობას, აიძულა საზოგადოება გადაეხედა რეჟიმის მიმართ თავისი დამოკიდებულებისათვის. არმიამ, რომელიც რომანოვთა სამეფო სახლის საყრდენი იყო, საზოგადოების თვალში ავტორიტეტი დაკარგა და მის რიგებში სამსახური აღარ იყო ისე საპატიო, როგორც ადრე.

მე-19 საუკუნის ბოლოდან იწყება სამხედრო თეორიის განვითარებისა და პრაქტიკაში მისი რეალურად გამოყენების ახალი ეტაპი. სამხედრო საქმის გამოჩენილი (თუმცა განსხვავებული შეხედულების) წარმომადგენლები იყვნენ მინხევიჩი, დრაგომიროვი, ლეერი და ნეზნამოვი.

გენერალი ნიკოლაი პეტრეს ძე მინხევიჩი (1849-1927წწ.) რუსეთის ერთ-ერთი უდიდესი სამხედრო თეორიტიკოსი იყო. მინხევიჩი – სამხედრო აკადემიის ისტორიის პროფესორი და შემდეგ მისი ხელმძღვანელი, 1911 წლიდან კი რუსეთის არმიის მთავარი შტაბის უფროსი – ერთდროულად სამხედრო საქმის თეორეტიკოსი და გამოცდილი პრაქტიკოსიც იყო. თავის ნაწარმოებებშიც - "უახლესი ტექნიკური გამოგონებების გავლენა ტაქტიკაზე" (1899 წ.), "სამხედრო ხელოვნების ისტორია" (1895 წ.) და "სტრატეგია" (1899-1910 წწ.) – იგი უარყოფს ელვისებური ომის ცნებას, ამასთან ხაზს უსვამს, რომ ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოები შეძლებენ წინააღმდეგობის გაწევას ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ერთი დამარცხებული არმიის ნაცვლად კი, ორი ახლის მობილიზებას. მინხევიჩი აღნიშნავდა, რომ ეკონომიკურად ჩამორჩენილი, აგრარული რუსეთი უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე ტექნიკურად მასზე განვითარებული მეზობლები. მათი ეკონომიკა დამოკიდებულია სურსათისა და ნედლეულის იმპორტზე, მობილიზაციის შემთხვევაში კი მრეწველობა მწვავე კრიზისში აღმოჩნდება.

გენერალ მინხევიჩს მიაჩნდა, რომ ომის წარმოების პრინციპები მუდმივია, მაგრამ, ამა თუ იმ ეპოქის ძალებისა და საშუალებების ცვლილებასთან დაკავშირებით, იცვლება მხოლოდ ომის ფორმა და არა მისი პრინციპები. სამხედრო მეცნიერება მას სამხედრო ხელოვნების თეორიამდე დაჰყავდა და თვლიდა, რომ მოვლენები, რომლებიც ხდება ომში, მუდმივ ცვლილებას განიცდის.

სამხედრო საქმეში მას ძირითადად მიაჩნდა გადამწყვეტ მონაკვეთზე ძალთა სიმრავლის პრინციპი და, მატერიალურთან შედარებით, მორალური მონაცემების წინასწარ გათვალისწინების აუცილებლობა.Mმიხნევიჩი გერმანიასთან მომავალ ომში რუსეთის იმპერიის დასავლეთ საზღვრებთან შეტევის სწრაფად დაწყების წინააღმდეგი იყო. იგი თვლიდა, რომ აუცილებელი იყო ყველა რეზერვის მობილიზების მოსწრება და, დაქანცვის ტაქტიკის გამოყენებით, ღრმად უკან დახევა წინასწარ მომზადებულ თავდაცვით პოზიციებზე. "ომში მთავარი სახელმწიფო

ძალების დაძაბვის ინტენსიობა კი არ არის, არამედ ამ დაძაბვის ხანგრძლივობა", - წერდა მინხევიჩი თავის "სტრატეგიაში".1

რუსეთ-იაპონიის ომში დამარცხების შემდეგ სამხედრო წრეებში თვითკრიტიკის ტალღა აგორდა, დაიწყეს შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის ძიება. პასუხის მოლოდინში სამხედრო ელიტის მრავალმა წარმომადგენელმა მზერა დასავლეთისაკენ მიაპყრო. სამხედრო აზროვნებაში "მედასავლეთეობის" მიმდინარეობის ერთ-ერთი წარმომადგენელია გენერალური შტაბის ტაქტიკის მასწავლებელი, გენერალი ალექსანდრ ალექსანდრეს ძე ნეზნამოვი (1872-1929 წწ.). თავის ყველაზე მნიშვნელოვან ნაშრომში - "თანამედროვე ომი" (1911 წ.) – იგი კრიტიკულად აფასებს რუსეთ-იაპონიის ომის შედეგებს, ხაზს უსვამს, რომ რუსული არმიის წარუმატებლობის მიზეზი მოწინააღმდეგის უპირატესობა კი არ იყო, ან მანჯურიის უცნობი მხარე და ზურგის უზრუნველყოფის სისუსტე, არამედ უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობის მოუმზადებლობა თანამედროვე ომის წარმოებისათვის. "ცეცხლი ბრძოლის შედეგს წყვეტს", – ასკვნის ნეზმანოვი, რომელიც მომავალი ომის თავისებურებას წინასწარ ჭვრეტს და ხიშტით განხორციელებული იერიშის უპირატესობის მხარდამჭერთა წინააღმდეგ გამოდის. მიუთითებდა რა ჯარების უახლესი შეიარაღებით – ძირითადად ტყვიამფრქვევებით და არტილერიით – აღჭურვის აუცილებლობაზე, იგი ხაზს უსვამდა ამ მაჩვენებლებით რუსეთის არმიის ჩამორჩენილობას ევროპული ქვეყნების არმიებთან შედარებით.

"რუსული ეროვნული სკოლის" სახელგანთქმული წარმომადგენელი და, ცეცხლთან შედარებით, ხიშტით შეტევის უპირატესობის მგზნებარე დამცველი გენერალური შტაბის აკადემიის მეთაური გენერალი მიხაილ ივანეს ძე დრაგომიროვი (1830-1905 წწ.) იყო. 1879 წელს გამოვიდა დრაგომიროვის ნაშრომი "ტაქტიკის სახელმძღვანელო", რომელიც ხმარებიდან მხოლოდ 30 წლის შემდეგ ამოიღეს. მასში ავტორი იცავდა ჯარისკაცთა მორალური ძალის პრინციპს და დარტყმითი ტაქტიკის უპირატესობას.

იგი თავის ტაქტიკას აფუძნებდა სუვოროვის ნაშრომს "გამარჯვების მეცნიერებას" და საკუთარ გამოცდილებას რუსეთ-თურქეთის ომში, ამასთან ამტკიცებდა, რომ ბრძოლის უმაღლესი წერტილი, მისი კულმინაცია ხიშტის საშუალებით შეტევაზე გადასვლაა, რომელიც წყვეტს კიდეც ბრძოლის შედეგს. მას არ ესმოდა ახალი შეიარაღების მნიშვნელობა და სავაზნეკოლოფიანი შაშხანითა და ტყვიამფრქვევებით არმიის შეიარაღების წინააღმდეგი იყო, რადგან მიაჩნდა, რომ ეს აქვეითებდა შეუპოვრობას, რომელსაც იჩენდა მეომარი ხიშტით შეტევის დროს. თავის "სახელმძღვანელოში" იგი არიგებდა ჯარისკაცებს ემოქმედათ სუვოროვის პრინციპით - "ტყვია სულელია, ხიშტი კი მამაცი ბიჭია".1

დრაგომიროვის შემცვლელი აკადემიის უფროსის თანამდებობაზე, გენერალი ჰენრიხ ანტონის ძე ლეერი (1829-1904 წწ.) სამხედრო ისტორიისა და ხელოვნების ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე იყო. თანამედროვე სამხედრო მოაზროვნეებისა და მხედართმთავრების – ლოიდის, ჟომინის, კლაუზენვიცისა და ნაპოლეონის – შესწავლით, მან დაასკვნა, რომ სტრატეგიის თეორიის საფუძველი მუდმივია და არ არის დამოკიდებული არც დროზე, არც ადგილზე, არც ჯარებზე და არც თანამედროვე იარაღზე. ლეერი უარყოფითად ეკიდებოდა ომის წარმოებაზე პოლიტიკოსთა გავლენას და მხოლოდ მეფეს ცნობდა, როგორც გაერთიანებული სამხედრო და პოლიტიკური ხელისუფლების წარმომადგენელს. იგი უარყოფდა

ყოველი ეპოქის სუბიექტურ თავისებურებას და სამხედრო ისტორიის ფაქტებს კონკრეტულად არსებული სამხედრო ვითარების გაუთვალისწინებლად განიხილავდა. მე-19 საუკუნის სამხედრო ისტორიის შესწავლის გამოცდილებიდან გამომდინარე, ლეერმა შექმნა საკუთარი თეორია მოწინააღმდეგის "სტრატეგიული განადგურების" შესახებ მისი რეგულარული არმიის მოსპობის საშუალებით. ლეერი და დრაგომიროვი სათანადოდ ვერ აფასებდნენ თანამედროვე სწრაფმსროლი იარაღის (არტილერიის და ტყვიამფრქვევის) მზარდ მნიშვნელობას. თავდაცვის საკითხებისადმი მათი დაუდევარი დამოკიდებულება და სწრაფვა ძველი, საიერიშო ტაქტიკისადმი აისახა 1889 წლიდან 1904 წლამდე მიღებულ საველე წესდებებში. მოწინააღმდეგის ცეცხლის მოქმედების ზონაში მეფის არმიის მჭიდრო განლაგებამ, არტილერიის მხარდაჭერის გარეშე შეტევაზე ნაადრევად გადასვლამ, სუსტმა საინჟინრო მომზადებამ კატასტროფული როლი შეასრულა რუსეთ-იაპონიის ომში.

1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომში რუსეთის დამარცხების შემდეგ მწვავედ დადგა რუსული არმიის რეფორმირების საკითხი. რეფორმები ომის დამთავრებისთანავე, 1905 წელს დაიწყო და 1912 წლამდე გაგრძელდა. 1905 წელს შეიქმნა სახელმწიფო თავდაცვის საბჭო, რომელიც არმიის რეფორმების მთავარ ორგანოდ იქცა. უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაიწყო საგამოცდო შერჩევის ჩატარება მაღალი სამეთაურო თანამდებობების დასაკავებლად, რის შედეგადაც 300-ზე მეტი გენერალი და 400 პოლკოვნიკი, როგორც თანამდებობისთვის შეუფერებელი, განთავისუფლებულ იქნა. შეიქმნა საზღვაო გენერალური შტაბი, ჯარების სახეობათა მიხედვით დაწესდა გენერალ-ინსპექტორების თანამდებობა.

ჯარისკაცთა სამხედრო სავალდებულო სამსახურის ვადა 5-დან 3 წლამდე შემცირდა, დაიწყო სამხედრო მოსამსახურეთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. გაუქმდა სუსტად მომზადებული სარეზერვო და საციხო ჯარები, რომლებიც სახმელეთო ძალების საერთო რაოდენობის 15%-ს შეადგენდნენ. დამატებით ჩამოყალიბდა 8 ქვეითი ჯარის დივიზია. ჯარები სასაზღვრო ოლქებიდან ცენტრალურში (მოსკოვსა და ყაზანში) გადააადგილეს. არტილერიამ მნიშვნელოვნად შეავსო თავისი რეზერვები. ერთ ქვემეხზე ჭურვების რაოდენობა 600-დან 1100-მდე გაიზარდა.1 საფრანგეთში აღებული კრედიტებით დაიწყო იარაღის ახალი ქარხნების გახსნა და რკინიგზის ქსელის გაუმჯობესება. ჯარებს მიეწოდათ დიდი რაოდენობით ტყვიამფრქვევები, კავშირგაბმულობის საშუალებები, ავტოტრანსპორტი. შეიარაღებაში მიიღეს 122-მმ და 152-მმ ჰაუბიცები, ყოველ ქვეითი ჯარის დივიზიაში შეყვანილ იქნა საარტილერიო ბრიგადა (48 ქვემეხი), პირველად ჩამოყალიბდა საკორპუსო ავიარაზმები. მაგრამ რუსული სახმელეთო არმიის სრულ გადაიარაღებას ხელს უშლიდა, ცუსიმის ბრძოლაში დაღუპული ფლოტის ნაცვლად, ახალი სამხედრო-საზღვაო ფლოტის მშენებლობის ამბიციური პროგრამა.

ტაქტიკის სფეროში შემდგომი განვითარება პოვა გაშლილმა მწყობრმა და თავდაცვის როლის ზრდამ. ხიშტით შეტევის უპირატესობის მომხრეთა დრაგომიროვისეული სკოლის წარმომადგენლები მეორე პლანზე გადაწიეს.

მაგრამ ეკონომიკური ჩამორჩენილობა და, რაც მთავარია, რეჟიმის პოლიტიკური არასტაბილურობა არ იძლეოდა ამ წამოწყების დასრულების საშუალებას. ომში დამარცხების შემდეგ, განსაკუთრებით კი 1905 წლის რევოლუციის სისხლიანი ჩახშობის გამო, არმიის ავტორიტეტი უკიდურესად დაეცა. მეფის არმიამ კრიზისიდან გამოსვლა მხოლოდ 1910 წლიდან დაიწყო. სამხედრო ბიუჯეტი 340 მლნ მანეთიდან

563 მლნ მანეთამდე გაიზარდა, სოციალური მღელვარება თანდათან დაცხრა, სამხედრო დისციპლინა კი მთლიანად აღდგა.

მშვიდობიანობის დროს რუსეთის არმია 1 მლნ 230 ათას კაცს ითვლიდა, მობილიზაციის ჩატარების შემდეგ საერთო რიცხოვნობას უნდა შეედგინა: 1812 ქვეითი ჯარის ბატალიონი, 835 ბატარეა და 926 ესკადრონი, სულ 3 მლნ 300 ათასი ადამიანი, ანუ 168 %-ით უნდა გაზრდილიყო.1 ეს რუსული "კოლოსი" ყოველთვის განსაკუთრებულ გავლენას ახდენდა ევროპაზე. უზარმაზარი ტერიტორია, ხალხის ულევი რაოდენობა და ეკონომიკის განვითარების დიდი პოტენციალი რთულ მდგომარეობაში აყენებდა როგორც რუსეთის მოწინააღმდეგეებს, ისე მის მოკავშირეებს. მისი მოკავშირეები "ანტანტიდან"- საფრანგეთი და ინგლისი - თვლიდნენ, რომ ეს "რუსული ორთქლის სატკეპნი" გააბრტყელებს გერმანიის ძალებს აღმოსავლეთის ფრონტზე და გზას გაიკვლევს ბერლინისაკენ, როგორც ეს უკვე მოხდა ორი საუკუნის წინ, "შვიდწლიანი ომის" დროს. გერმანელი სტრატეგები სათანადოდ ვერ აფასებდნენ რუსეთის პოტენციალს – მიაჩნდათ, რომ ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა უბრალოდ, ფიზიკურად ვერ შეძლებს თავისი რესურსების მობილიზაციის სწრაფად ჩატარებას. იაპონელებთან ომში დამარცხების შემდეგ კი საერთოდ აღარაფრად აგდებდნენ მეფის არმიას.

ომისწინა წლებში რუსეთის არმიის გენერალურ შტაბში ორი გეგმა შედგა: გეგმა "ა" – მოქმედებები ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ და გეგმა "გ“ – გერმანიის წინააღმდეგ.1

გერმანიის მოქმედებათა ლოგიკა ამგვარი იყო: დაემარცხებინა ჯერ საფრანგეთი, შემდეგ კი რუსეთი. ამის თავიდან ასაცილებლად ორივე მოკავშირეს ერთდროულად უნდა შეეტია. 1912 წლის დასაწყისში სამხედრო მინისტრმა სუხომლინოვმა დაიწყო ბრძოლა, რათა ძირითადი დარტყმა განეხორციელებინათ გერმანიაზე, ხოლო თავდაცვითი სტრატეგია – ავსტრია-უნგრეთის საზღვარზე. ამ გეგმის დამტკიცებას დაჟინებით მოითხოვდა საფრანგეთის გენერალური შტაბიც, რომელსაც უნდოდა, რომ აღმოსავლეთის ფრონტს თავისკენ რაც შეიძლება მეტი გერმანული ჯარები მიეზიდა. მაგრამ აღმოსავლეთ პრუსიაზე შეტევის განსახორციელებლად საჭირო იყო მობილიზაციის და გადაადგილების სწრაფი ტემპები, რისი ძალაც რუსეთს არ შესწევდა. მაგრამ ნაადრევი შეტევის დაწყებას აღმოსავლეთ პრუსიაზე იმ დროს, როდესაც გერმანიის ძირითადი ძალები იქნებოდნენ დასავლეთის ფრონტზე, საფრანგეთი გარდაუვალი დამარცხებისგან უნდა გადაერჩინა. თუკი საფრანგეთი კაპიტულაციას გამოაცხადებდა, მაშინ რუსეთს ნაკლები შესაძლებლობა რჩებოდა დასავლეთიდან გადმოსროლილი გერმანიის ჯარების ძირითადი მასების დარტყმისათვის გაეძლო. ამიტომ რუსეთის გენერალური შტაბის უფროსმა გენერალმა ჟილინსკიმ პირობა მისცა გენერალ ჟოფრს, მობილიზაციის მე-15 დღისათვის მოემზადებინა 800-ათასიანი დაჯგუფება აღმოსავლეთ პრუსიაზე შეტევის დასაწყებად. სწორედ ასე იყო ჩაწერილი საფრანგეთ-რუსეთის 1913 წლის სამხედრო კონვენციაში.1

ეს გათვლა სწორი იყო კოალიციური ომის თვალსაზრისით, მაგრამ ძალზე სარისკო რუსეთისა და მისი არმიის რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით.

Gგეგმა "გ"-ს მიხედვით, აქტიური სამხედრო მოქმედებები იწყებოდა მობილიზაციის გამოცხადების დაწყებიდან სამი კვირის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის არმიას სამი თვე სჭირდებოდა სრული მობილიზაციის დასასრულებლად. ამ გეგმის შესრულებას თვით პრუსიის გეოგრაფია უშლიდა ხელს.

თუ რუსეთის ჯარები შეტევას განახორციელებდნენ პოლონეთის რუსული ნაწილიდან ბერლინის მიმართულებით, ამით ისინი ფლანგს ხსნიდნენ დარტყმისათვის მე-8 გერმანული არმიის მხრიდან, რომელიც აღმოსავლეთ პრუსიაში იყო განლაგებული. კენიგსბერგზე შეტევა კი ძნელდებოდა მაზურის ტბების გაუვალობით და გზათა სუსტი ქსელით. რუსებისათვის მოძრაობის ძირითადი მიმართულება იყო შეტევა პოლონეთის სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან, გერმანელებს კი ეძლეოდათ საშუალება, გამოეყენებინათ თავისი "შიდა ხაზები" და ცალ-ცალკე მიეყენებინათ დარტყმები შეტევაზე გადმოსული არმიებისათვის.

ამ გეგმის საპირისპიროდ, გენერალმა ალექსეევმა 1912 წელს ომის წარმოების საკუთარი გეგმა წამოაყენა, რომელიც ითვალისწინებდა მთავარი დარტყმის განხორციელებას ავსტრია-უნგრეთზე და არა გერმანიაზე. თავის მოსაზრებებს ალექსეევი იმით ხსნიდა, რომ ავსტრიასთან საზღვრის დაცვა ძნელი იყო და მისი დაცვისათვის საჭირო იყო დიდი რაოდენობით ქვედანაყოფების გამოყოფა. სჯობდა დარტყმები განხორციელებულიყო გალიციის მხრიდან, გაენთავისუფლებინათ "მოძმე სლავები" და ერთი მძლავრი დარტყმით ავსტრია-უნგრეთი ომიდან გამოეთიშათ.

რუსეთის უმაღლესმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო კომპრომისი გამოენახა ამ ორ გეგმას შორის და ყველაზე უარესი ნაბიჯი გადადგა - ორივე მიიღო. ამას შედეგად მოჰყვა რუსეთის ისედაც მინიმალური სტრატეგიული რესურსის დაქსაქსვა. საბოლოო ჯამში, საომარი მოქმედებების დაწყების მომენტში ოთხმა რუსულმა არმიამ შეტევა განახორციელა ავსტრიის, ორმა კი – გერმანიის მიმართულებით.

ომის დასაწყისში, 1914 წლის აგვისტოში რუსული ჯარების განლაგება სტრატეგიული გეგმა "ა"–ს მიხედვით მიმდინარეობდა. ამ დროს გერმანიის ძირითადი ნაწილი თავმოყრილი იყო დასავლეთ ფრონტზე, რუსეთის გენერალური შტაბი კი თავის მთავარ დარტყმას ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ წარმართავდა, დამხმარეს კი – აღმოსავლეთ პრუსიის მიმართულებით. ამ გეგმის მიხედვით, გერმანიის წინააღმდეგ იშლებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთი ფრონტის პირველი და მეორე არმიები – სულ 19 ქვეითი ჯარის დივიზია, 11 სარეზერვო ქვეითი ჯარის დივიზია და 9,5 ცხენოსანი დივიზია. ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ იშლებოდა ჩრდილო-დასავლეთი ფრონტი: მე-3, მე-4, მე-5 და მე-8 არმიების შემადგენლობით – სულ 33,5 ქვეითი ჯარის დივიზია, 13 სარეზერვო დივიზია და 19 ცხენოსანი დივიზია. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ამოცანა იყო ავსტრია-უნგრეთის ჯარების განადგურება გალიციაში და, ივანგოროდ-კოველსკის მიმართულებიდან დარტყმების განხორციელებით, კრაკოვის ხელში ჩაგდება და მოწინააღმდეგისათვის უკანდასახევი გზის მოჭრა.

ამ არმიების გარდა, კიდევ ორი სარეზერვო არმია იშლებოდა: მეექვსე, პეტერბურგისა და ბალტიისპირეთის სანაპიროს დასაცავად, და მეშვიდე, რუმინეთის საზღვრის დასაცავად. თურქეთის იმპერიასთან ომის შემთხვევაში კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარები – 9 ქვეითი ჯარის დივიზია, 200 ცხენოსანი ესკადრონი და 600 ქვემეხი – უნდა გადასულიყო თავდაცვაზე და გაემაგრებინა სახელმწიფო საზღვარი.

აღმოსავლეთ პრუსიაზე შეტევის გეგმის მიხედვით, ვილნოში კონცენტრირებული პირველი არმია ორი დღით ადრე იწყებდა შეტევას და მისი გზა მაზურის ტბების ჩრდილოეთით გადიოდა. მეორე, "ვარშავის" არმია უტევდა ოდნავ

სამხრეთით. იგი გერმანელების ზურგში უნდა მოქცეულიყო და მათთვის მდინარე ვისლისაკენ უკანდასახევი გზა მოეჭრა. ამ "მარწუხების" წარმატება დამოკიდებული იყო შეტევის ტემპზე და ორი არმიის მოქმედებათა სინქრონიზაციაზე. სირთულე იმაში მდგომარეობდა, რომ არ მისცემოდათ გერმანელებს საშუალება, თავს მოეხვიათ ბრძოლები თითოეული არმიისათვის ცალ-ცალკე. აღმოსავლეთ პრუსიაში გერმანული ჯარების განადგურების შემდეგ, რუსებს უნდა გაეგრძელებინათ შეტევა ბერლინის მიმართულებით, რომელიც მდინარე ვისლადან 250 კმ-ში მდებარეობდა. საომარი მოქმედებების სწრაფად დაწყების გამო, რუსეთის გენერალურმა შტაბმა გადაწყვიტა მობილიზაციის დაგვიანება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა – მათგან ჩამოეყალიბებინა სტრატეგიული რეზერვი, რომ შემდგომი შეტევა განევითარებინა.

ოპერატიული დაგეგმარების არცთუ ისე ცუდი ფონის მიუხედავად, რუსეთის გენერალურმა შტაბმა სრული მობილიზაციისა და სხვა სამზადისის დამთავრებამდე საერთო შეტევის დაწყებით შეცდომა დაუშვა. დაგეგმარების დროს გაპარულმა თითქოს უმნიშვნელო დეტალებმა, უდიდესი გავლენა იქონია შეტევის ტემპებზე. ორი შეტევაზე გადასული არმიის შტაბებს შორის კოორდინაციის გაუთვალისწინებლობამ, ზურგის უზრუნველყოფის არქონამ, ჯარების მართვის პრობლემებმა, ევროპული და რუსული რკინიგზის ლიანდაგების უმნიშვნელო განსხვავებამ – ყველა ამ შეცდომამ გამოიწვია აღმოსავლეთპრუსიული ლაშქრობის ჩავარდნა. წარმატებით დაწყებული საბრძოლო ლაშქრობა ორივე რუსული არმიის განადგურებით დამთავრდა.

მაგრამ აღმოსავლეთ პრუსიაში ჩატარებულ ოპერაციას მაინც ჰქონდა შორსმავალი სტრატეგიული მნიშვნელობა. დასავლეთის ფრონტზე, "მარნასთან" გაცხარებული ბრძოლის დროს გერმანელებს მოუხდათ ორი კორპუსის მოხსნა და მათი გადასროლა აღმოსავლეთის ფრონტის გასამაგრებლად. ათასობით რუსი ჯარისკაცის სიცოცხლის ფასად იქნა მოგებული პარიზისათვის ბრძოლა და ომი სულ სხვა მიმართულებით წარიმართა.

---

1. Makers of modern strategy, p.363.
2. Михневичь, Стратегия, М., 1910, стр. 41.
3. Makers of modern strategy, p. 367.
4. Свечин А., Эволюция военного искусства,Акад. проект.,2002, стр. 762.
5. Свечин А., Эволюция военного искусства,Акад.проект,2002, стр. 763.
6. Дюпюи Э., Всемирная история войн, стр. 687.
7. Keenan J., First World War, N.Y., 1999, p. 41.

დიდი ბრიტანეთის და ავსტრია-უნგრეთის საომარი გეგმები

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ავსტრია-უნგრეთის იმპერიისა და დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს შეიარაღებულ ძალებში არ მოიძებნებოდნენ ისეთი სამხედრო მოაზროვნეები, რომლებიც ომის წარმოების ახალ, ორიგინალურ იდეებს ან პრინციპებს წამოაყენებდნენ. გერმანიისა და საფრანგეთის გენერალური შტაბებისაგან განსხვავებით, ავსტრია-უნგრეთისა და დიდი ბრიტანეთის დაგეგმვის უმაღლეს სამხედრო ორგანოებს აშკარა დაქვემდებარებული როლი ენიჭებოდა

მსოფლიო ომის მომზადებაში. ჰაბსბურგთა იმპერიის შემთხვევაში ეს გამოწვეული იყო მისი საერთო სამხედრო-პოლიტიკური სისუსტით, რამაც გამოიწვია მისი დამოკიდებულება გერმანიაზე. გაერთიანებული სამეფო, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი სახელმწიფო, იმის გამო, რომ ჯიუტად უარყოფდა რეალიებს და არ სურდა კონტინენტზე ომში ჩაბმა, ერთგვარად დამოკიდებული აღმოჩნდა თავის მოკავშირეზე -საფრანგეთზე.

საუკუნეთა განმავლობაში დიდი ბრიტანეთი შესანიშნავად იყენებდა მისეულ ,,ძალთა ბალანსის" თეორიას, რათა არც ერთი ევროპული ქვეყნისათვის გაძლიერებისა და კონტინენტზე გაბატონების საშუალება არ მიეცა. ლონდონი ქმნიდა და მხარს უჭერდა ერთმანეთის წინააღმდეგ მიმართულ კოალიციებს, მაგრამ ყოველთვის ატარებდა თავის ცნობილ პოლიტიკას, რომელიც ფრთიან გამოთქმად იქცა: ,,ინგლისს არ ჰყავს მუდმივი მეგობრები, მას არ ჰყავს მუდმივი მტრები, მას მხოლოდ მუდმივი ინტერესები გააჩნია". კონტინენტიდან ზღვით გამოყოფილი და მსოფლიოში ყველაზე მძლავრი ფლოტის მფლობელი ინგლისი ყოველთვის ცდილობდა შორიდან ედევნებინა თვალყური, თვითონ კი არ ჩარეულიყო არც ერთ ომში.

ყველაფრით უზრუნველყოფდნენ რა თავის სამხედრო-საზღვაო ფლოტს, როგორც თავისი სიძლიერის გარანტს, სამთავრობო წრეები საკმარისს ყურადღებას არ უთმობდნენ სახმელეთო ჯარების განვითარებას. ტრადიციულად, დაქირავებული სამხედრო მოსამსახურეებით დაკომპლექტებული არმია, ევროპულ სტანდარტებთან შედარებით, მცირერიცხოვანი იყო (დაახლოებით 150 ათასი). მის ამოცანას შეადგენდა კოლონიური იმპერიის მთლიანობის შენარჩუნება და მცირე ოპერაციების ჩატარება სამხედრო-საზღვაო ფლოტის დახმარებით. სახმელეთო ჯარებს დიდი საბრძოლო გამოცდილება ჰქონდათ დედამიწის სხვადასხვა კუთხეში, მისი მეთაურებიც მაღალი კლასის პროფესიონალები იყვნენ, მაგრამ ისინი დახელოვნებული იყვნენ პატარა შენაერთების მართვაში კოლონიური კონფლიქტების დროს, დიდ ომში მრავალრიცხოვანი შენაერთების მეთაურობის გამოცდილება მათ არ ჰქონდათ. ლორდ რობერტსის საბრძოლო მოქმედებებმა ავღანეთსა და ინდოეთში, გენერალ კიტჩინერის -სუდანში, გააფრთებულმა ბრძოლებმა ტროპიკულ აფრიკაში შექმნეს ინგლისის უზარმაზარი იმპერია, მაგრამ კოლონიურ მხედართმთავრებს შორის არავინ აღმოჩნდა ისეთი, ვინც კრიტიკულად გააანალიზებდა არმიის გამოცდილებას და მიუსადაგებდა მას ევროპელ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლას. ეს, პირველ რიგში, გამოწვეული იყო იმით, რომ ფლოტით დაცულ ინგლისს შეეძლო დალოდებოდა ომის განვითარებას კონტინენტზე, და რომელ მხარესაც გადაიხრებოდა ომის სასწორი, კრიტიკულ მომენტში იქ გამოეყენებინა თავისი ჯარები.

მეოცე საუკუნის დასაწყისში ვითარება თანდათან შეიცვალა. გერმანიამ, რომელიც დარწმუნებული იყო თავის სამხედრო ძლიერებაში ხმელეთზე, გადაწყვიტა გაჯიბრებოდა ,,ზღვის მბრძანებელს". 1898 წელს მიღებულ იქნა გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ამბიციური პროგრამა, რომლის მიხედვითაც 1920 წლისათვის მას უნდა ჰყოლოდა 45 სახაზო გემი და 32 კრეისერი. პროგრამის პრეამბულა შეიცავდა ფარულ მუქარას დიდი ბრიტანეთის მიმართ -,,გერმანიას უნდა ჰყავდეს ისეთი ფლოტი, რომელთანაც უძლიერეს საზღვაო სახელმწიფოსაც კი უნდა გაუჭირდეს ბრძოლის დაწყება დამარცხების რისკის გარეშე". ამის საპასუხოდ ბრიტანეთმა შეიმუშავა თავისი პროგრამა ,,ორი ფლოტის" შესახებ. იგი

ითვალისწინებდა, რომ დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტი ნებისმიერი ორი სახელმწიფოს გაერთიანებულ ფლოტზე ძლიერი ყოფილიყო. 1906 წელს მნიშვნელოვან მოვლენას ჰქონდა ადგილი: ინგლისში შექმნეს ახალი ტიპის გემი „დრედნოუტის“ სახელწოდებით. იგი მხოლოდ მსხვილი კალიბრის იარაღით იყო შეიარაღებული – ათი 12-დიუმიანი ქვემეხით და შეეძლო განევითარებინა 20 კვანძი სიჩქარე. მასთან შედარებით ყველა გემი მოძველებულად გამოიყურებოდა. ამ მოვლენამ ბიძგი მისცა გამალებულ შეიარაღებას ზღვაზე, რის შედეგადაც 1914 წლისთვის გერმანიას ჰქონდა 16 სახაზო გემი და 41 კრეისერი, დიდ ბრიტანეთს -24 სახაზო გემი და 91 კრეისერი.1

1899-1902 წლების ინგლის-ბურების ომმა ცხადი გახადა მთელი საარმიო სისტემის რეფორმირების აუცილებლობა. გამარჯვების მიუხედავად, რომელიც იმპერიულ ძალთა უპრეცედენტო დაძაბვის შედეგად იქნა მიღწეული, დიდ ბრიტანეთს მოუხდა თავისი დომინიონების და თითქმის მთელი თავისი კოლონიური არმიის (500 ათასი კაცი) მობილიზება, ბრიტანეთის მხრიდან დაახლოებით 6 ათასი ადამიანი დაიღუპა და 23 ათასი დაიჭრა. მაგრამ, რაც მთავარია, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა იმპერიის სამხედრო ავტორიტეტი. საჭირო გახდა სასწრაფო სამხედრო რეფორმების ჩატარება.

ძირითადად, რეფორმები შეეხო ჯარების რეორგანიზაციას მისი ეფექტურობის გაზრდის მიმართულებით. 1900 წლისთვის ინგლისის სამხედრო ძალები სამი სახეობის ჯარებისგან შედგებოდა: მცირერიცხოვანი რეგულარული არმიისაგან (25 ათასი) მისივე რეზერვით (125 ათასი), აგრეთვე „იომენრის“, ანუ მოხალისეებისა (94 ათასი) და ტერიტორიული ჯარებისგან (270 ათასი). სამხედრო მინისტრის ლორდ სალდანის მიერ გატარებული ენერგიული რეფორმების შედეგად, რომელიც ცდილობდა ნებაყოფლობითობის პრინციპი შეენარჩუნებინა და იმავდროულად აემაღლებინა არმიის ბრძოლისუნარიანობა, მხოლოდ რეგულარული არმია და ტერიტორიული ჯარები დარჩა. რეგულარული არმიის პირველი რიგის ამოცანა იყო იმპერიის დაცვა და კონტინენტზე საექსპედიციო ჯარების როლში საბრძოლო მოქმედების ჩატარება. იგი შედგებოდა 6 ქვეითი ჯარის დივიზიისაგან, 1 ცხენოსანი დივიზიისა და 2 ცხენოსანი ბრიგადისგან – სულ 160 ათასი ადამიანი. ტერიტორიულ ჯარებს (300 ათასი) ევალებოდა მეტროპოლიის დაცვა კონტინენტიდან შეტევისგან.2 ადგილობრივი მოსახლეობით დაკომპლექტებული კოლონიური ჯარები, რომლებსაც ინგლისელი ოფიცრები მეთაურობდნენ, იმპერიის სხვადასხვა კუთხეებში იყვნენ განლაგებულნი და პასუხისმგებელი იყვნენ იმპერიის ტერიტორიის ხელშეუხებლობაზე. ბევრი სამხედრო დაჟინებით მოითხოვდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის შემოღებას, მაგრამ მოსახლეობის წინააღმდეგობას აწყდებოდა.

ომმა ინგლისელებსა და ბურებს შორის მრავალი ისეთი საკითხი წამოწია წინ, რაც აუცილებელი იყო „დიდი“ ომის მოსამზადებლად. ესენია: ჯარების მანევრირების გაზრდა, ბრძოლის ველის „სიცარიელის“ ცნების შემოღება და ბრძოლის ველზე ფართო ფრონტების დაკავების შესაძლებლობა. ომმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა მოწინააღმდეგესთან კონტაქტის დამყარების სირთულე სათანადო დაზვერვის გარეშე. თანამედროვე იარაღის განვითარების კვალობაზე, დადგა ფრონტალური შეტევის შეუძლებლობის და იერიშის დროს არტილერიის დახმარების აუცილებლობის საკითხი. აღნიშნული საკითხების დაუყოვნებლივი ანალიზი აისახა ახალ საველე წესდებებში. 1914 წლისათვის ინგლისის არმია ერთ-

ერთი ყველაზე მომზადებული და ეკიპირებული არმია იყო მსოფლიოში, რაც დამტკიცდა პირველივე ბრძოლებში.

პოლიტიკურ სფეროში დიდმა ბრიტანეთმა გადაწყვიტა საფრანგეთთან დაახლოება და 1904 წელს ხელი მოაწერა „გულითად შეთანხმებას“ – ანტანტას. 1907 წლის აგვისტოში ხელი მოაწერეს ინგლის-რუსეთის კონვენციას, რამაც ბოლო მოუღო ორი სახელმწიფოს 80-წლიან დაპირისპირებას ცენტრალურ აზიაში. ერთდროულად მაროკოს (აგადირის) კრიზისმა კიდევ ერთხელ გაამწვავა ურთიერთობა გერმანიასთან.

1907 წლიდან იწყება მუდმივი სამხედრო კონტაქტები საფრანგეთისა და ბრიტანეთის გენერალური შტაბების წარმომადგენელთა შორის. ამ თანამშრომლობის დაწყება იმაში გამოიხატა, რომ ბრიტანელი სამხედროები უსიტყვოდ დათანხმდნენ ფრანგული არმიის დანამატად ქცეულიყვნენ და, ბელგიის დაცვის მიზნით, მის მარცხენა ფლანგზე განლაგებულიყვნენ. Dდიდი ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის წარმომადგენლებს სურდათ გამოეყენებინათ თავისი უპირატესობა ზღვაზე და დესანტი გადაესხათ აღმოსავლეთ პრუსიის ჩრდილოეთ სანაპიროზე. ამ ექსპედიციას უნდა შეეკავებინა გერმანელთა დიდი ძალები და ხელი შეეშალა მათთვის, თავს დასხმოდნენ საფრანგეთს. „ბრიტანეთის ფლოტის დიდი უპირატესობა ერთადერთი საშუალებაა იმისა, რომ შევაჩეროთ გერმანელები პარიზის დაპყრობისგან“, – აცხადებდნენ ბრიტანელი ადმირალები. არმიის გენერალიტეტის გავლენით, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ჯარების გადასხმას ძირითადი მოკავშირეებისაგან ასე მოშორებით, პრემიერ-მინისტრმა ასკვიტმა უარი თქვა ამ პროექტზე. თუმცა დიდი დესანტის გადასხმის იდეა, ახლა უკვე ანტვერპენის რაიონში, მაინც ახდენდა ზეგავლენას სტრატეგიულ აზროვნებაზე 1914 წლის აგვისტომდე.

ბრიტანეთის გენერალური შტაბის ოპერატიული სამმართველოს უფროსის, გენერალ ჰენრი ვილსონის გარჯით, 1911 წლიდან იკვეთება ბრიტანეთ-საფრაგეთის თანამშრომლობის კონტურები. ფრანგული „გეგმა 17“-ის მიღების შემდეგ ბრიტანეთის საექსპედიციო ძალების როლი და ადგილი თანდათან დგინდება. მაგრამ, საფრანგეთთან აქტიური სამხედრო თანამშრომლობის მიუხედავად, ომში ინგლისის ჩართვის საკითხი ჯერ კიდევ ღიად რჩებოდა. იმ საფრთხის მიუხედავად, რომელიც მოსალოდნელი იყო გერმანიის მიერ საფრანგეთის დაპყრობისა და ევროპაში მისი ჰეგემონიის დამყარების შემთხვევაში, ინგლისის პოლიტიკურ ელიტას არ უნდოდა თავისი ქვეყნის ჩართვა ამ სახიფათო ავანტიურაში. აქტიური საბრძოლო მოქმედებების დაწყების საბაბად ინგლისელებს შეეძლოთ გამოეყენებინათ ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევა: ლონდონში კარგად იცოდნენ, რომ ის ქვეყანა, რომელიც დაეპატრონებოდა ბელგიის სანაპიროს, პირდაპირ ემუქრებოდა ბრიტანეთს.

საფრანგეთი და ინგლისი ერთდროულად ცდილობდნენ, ბელგიისაგან მხარდაჭერის პირობა მიეღოთ და სთავაზობდნენ, წინასწარ განელაგებინათ თავიანთი ჯარები მის ტერიტორიაზე, რათა წინ აღდგომოდნენ გერმანელების შეჭრას. მაგრამ, ბელგიის მთავრობამ უარი განაცხადა. იგი ცდილობდა შეენარჩუნებინა თავისი ნეიტრალიტეტი და არც ერთი მტრული დაჯგუფებისათვის არ მიეცა მისი დარღვევის საბაბი.

1913 წლის ბოლოს დასრულდა ომის ინგლისური გეგმის ინტეგრაციის პროცესი ფრანგულ „გეგმა 17“-თან. გენერალმა ჟოფრმა შეატყობინა საფრანგეთის უმაღლეს

სამხედრო საბჭოს, რომ იგი იმედს ამყარებს ბრიტანეთის 6 ქვეითი ჯარის დივიზიასა და 1 ცხენოსან დივიზიაზე (სულ 145 ათასი ადამიანი). მობილიზაციის დაწყებიდან მე-15 დღეს ჯარები დუვრისა და კალეს პორტებიდან უნდა შესულიყვნენ.1 საფრანგეთსა და ინგლისს შორის საზღვაო შეთანხმებით, საფრანგეთის ფლოტი თავმოყრილი იყო ხმელთაშუა ზღვის აუზში, ბრიტანეთის კი აკონტროლებდა ატლანტიკასა და სრუტეებს.

მიუხედავად იმისა, რომ დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის სამხედრო წარმომადგენლები ათანხმებდნენ ჯარების განლაგების გეგმებს და დეტალებს, პოლიტიკოსები განზე იდგნენ და კატეგორიულად უარს აცხადებდნენ ჩაეხედათ მათ საქმეებში. „არავითარი ვალდებულებები!“-ასეთი იყო დიდი ბრიტანეთის პოლიტიკოსების პოზიცია ომისწინანდელ პერიოდში. მაგრამ როდესაც დადგა 1914 წლის ივლის-აგვისტოს კრიზისი, პოლიტიკურმა ელიტამ ვერ შეძლო დიპლომატიური გამოსავლის ნახვა და გამოიყენა თავისი ბოლო რეზერვი - სამხედროების მიერ მომზადებული გეგმები და ომში ჩაება.

ავსტრია-უნგრეთის არმიის დიდი (გენერალური) შტაბის გეგმებში მის ძირითად მოწინააღმდეგედ რუსეთი ითვლებოდა, შემდეგ სერბია და ჩერნოგორია. სამთა კავშირის მონაწილე ქვეყნის – იტალიისა და რუმინეთის ჩარევა ნაკლებ სავარაუდო იყო. საბრძოლო მოქმედებათა გეგმები ითვალისწინებდა ომს ერთდროულად რამდენიმე ფრონტზე.

1879 წელს, გერმანიასთან სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების შემდეგ, მოკავშირე გენერალური შტაბების წარმომადგენლები ცდილობდნენ თავიანთი გეგმების კოორდინირებას ორ ფრონტზე ომის წარმოების შემთხვევაში. საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც გერმანიამ აირჩია თავისი ძირითადი მოწინააღმდეგე – საფრანგეთი და დაიწყო ჯარების თავმოყრა დასავლეთში, ავსტრია-უნგრეთს მნიშვნელოვანი როლი ერგო წილად – შეეჩერებინა რუსული არმიები გერმანელების მისვლამდე. ომის დაწყებით ეტაპზე რუსეთთან ბრძოლის მთელი სიმძიმე ავსტრიას დააწვა, რამეთუ „შლიფენის გეგმა“ მოითხოვდა მთელი ძალების მობილიზაციას დასავლეთით, აღმოსავლეთში კი გერმანელებს მინიმალური ძალები რჩებოდათ. საშტაბო მოლაპარაკების დროს, 1910 წელს, მოლტკე-უმცროსმა აღნიშნა, რომ საფრანგეთის სრული განადგურებისათვის ექვსი კვირა იყო საჭირო, ამის შემდეგ კი გერმანიის არმიის ძირითადი ძალები აღმოსავლეთის ფრონტზე გადაინაცვლებდნენ.

რამდენიმე ფრონტზე სამხედრო მოქმედებების დასაწყებად ავსტრია-უნგრეთის გენერალური შტაბი შეუდგა საარმიო დაჯგუფებების თავმოყრას, რომელთაც საომარი მოქმედებები უნდა განეხორციელებინათ ძირითადი მიმართულებით. ყველაზე ძლიერი დაჯგუფება – „ეშელონი ა“ – გამიზნული იყო რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებისათვის. იგი თავმოყრილი იყო გალიციასა და პოლონეთის ავსტრიული ნაწილის ოპერატიულ რაიონში. „ეშელონ ა“–ში შედიოდა 29 ქვეითი ჯარის დივიზია, 10 ცხენოსანი დივიზია და 21 ლანდვერის (სარეზერვო) ბრიგადა. ეს ჯარები გაერთიანებული იყო ოთხ (I, II, III და IV) საველე არმიაში. მობილიზაციის მე-19 დღეს მათ თავიანთი ზღუდეები უნდა დაეკავებინათ მდინარე სანსა და დნესტრთან.

არმიის მეორე ჯგუფი -„მინიმალური ბალკანური ჯგუფი“ – რომელსაც მობილიზაცია უნდა დაესრულებინა თორმეტ დღეში, გამიზნული იყო ჩერნოგორიისა და სერბიის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების ჩასატარებლად. იგი

შედგებოდა 8 ქვეითი ჯარისა და 7 სარეზერვო დივიზიისაგან. მისი თავდაპირველი ამოცანა იყო, შეებოჭა მოწინააღმდეგე და არ მიეცა მისთვის გაშლის საშუალება.

ავსტრია-უნგრეთის გენერალურ შტაბში ორი ოპერატიული გეგმა შედგა: პირველი -„ვარიანტი-ბ" ითვალისწინებდა ომს მხოლოდ ბალკანეთის წინააღმდეგ, ხოლო "ვარიანტი-რ"- რუსეთისა და მისი ბალკანელი მოკავშირეების წინააღმდეგ.

ორ ფრონტზე ომის წარმოების ავსტრიული გეგმის მიხედვით, გათვალისწინებული იყო თავდაცვითი ოპერაციები ბალკანეთის ფრონტზე და შეტევაზე გადასვლა რუსეთთან საზღვრის მონაკვეთზე. ავსტრია-უნგრეთის გენერალური შტაბის უფროსს, გენერალ კონრად ფონ გეტცენდორფს უნდოდა შეტევაზე სწრაფი გადასვლით გაენადგურებინა რუსეთის არმია და მისთვის სრული მობილიზაციის საშუალება არ მიეცა.1

ჰაბსბურგთა იმპერიის ჯარები რაოდენობრივად ჩამორჩებოდა რუსეთის ჯარებს, ამიტომ ავსტრიის გენერალიტეტს კარგად ესმოდა, რომ მხოლოდ მთელი ძალების შეტევით შეძლებდნენ მოწინააღმდეგის შებოჭვას გერმანიის არმიის მისვლამდე.

ავსტრიელების საერთო გეგმა ითვალისწინებდა ორი არმიის შეტევას. პირველ და მეორე არმიას შეტევა უნდა განეხორციელებინა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, პოლონეთის რუსულ ნაწილში. მარჯვნიდან მათ მხარს უმაგრებდა მესამე და მეორე არმია.

აღმოსავლეთ პრუსიაში დაბანაკებული გერმანიის მერვე არმიას დარტყმა უნდა მიეყენებინა რუსეთის არმიისათვის ჩრდილოეთიდან და მათთვის უკანდასახევი გზა მოეჭრა. მაგრამ, დაგეგმვაში შეცდომებისა და რეალური მდგომარეობის გაუთვალისწინებლობის გამო, კენიგსბერგის მხრიდან შეტევა არც კი განხორციელებულა.

კონრად ფონ გეტცენდორფს უნდოდა, დახმარების პირობა მიეღო თავისი გერმანელი კოლეგისაგან, რომ იმ შემთხვევაში, თუკი ავსტრიის ჯარები სერბიაში ჩარჩებოდნენ და ვერ შეძლებდნენ მათ გადასროლას გალიციაში, რუსულ ფრონტზე, მაშინ გერმანული ჯარები მათ დაეხმარებოდნენ. მოლტკე-უმცროსმა შეძლო მისი დარწმუნება, რომ, დასავლეთის ფრონტზე ომის სირთულის მიუხედავად, გერმანია არავითარ შემთხვევაში არ მიატოვებდა თავის მოკავშირეებს ბედის ანაბარად.2

ავსტრია-უნგრეთის გენერალური შტაბის ნაწილი ფიქრობდა, რომ უფრო იოლი იყო ჯერ სერბიისა და ჩერნოგორიის დამარცხება, შემდეგ კი ომში ჩაბმა რუსეთთან. მაგრამ მისი გერმანელი მოკავშირე აღმოსავლეთის ფრონტზე, თავისი სისუსტის კომპენსირების მიზნით, ცდილობდა აქტიურად აემოქმედებინა ავსტრია და ამით რუსეთის ყურადღება ჩამოეშორებინა აღმოსავლეთ პრუსიისა და სილეზიისაგან. მაგრამ გერმანიის გენერალური შტაბის წარმომადგენლებს ესმოდათ, რომ მონარქიის ჯარების ბრძოლისუნარიანობა ძალიან დაბალი იყო. "თუ ავსტრია-უნგრეთის არმია ერთდროულად ორ ფრონტზე წარმართავს ბრძოლას, იგი ვერ შეძლებს რუსეთის საზღვართან თავმოყრილი გერმანული ჯარების განთავისუფლებას", -ასეთი დასკვნა გამოიტანეს გაერთიანებული შტაბების ერთ-ერთი კონფერენციის შემდეგ, მაგრამ, გერმანია აქეზებდა ავსტრიელებს განეხორციელებინათ შეტევა ჩრდილოეთით ბუგსა და ვისლას შორის, რამეთუ ეს ამცირებდა რუსეთის ჯარების კონცენტრაციას გერმანიის საზღვართან.

მაგრამ პრობლემა გენერალური შტაბის სამხედრო გეგმის პირობებში კი არა, არამედ თვით ჰაბსბურგთა სახელმწიფო წყობაში იყო. ავსტრია-უნგრეთის იმპერიას

პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა აწუხებდა. მთავარი კი ეროვნული საკითხი იყო. ასწლეულის განმავლობაში გაფართოებულმა ავსტრია-უნგრეთის იმპერიამ მაინც ვერ შეძლო ერთიანი ეროვნული იდეის შემუშავება. ეროვნული უმცირესობები სულ უფრო მწვავედ აყენებდნენ თვითგამორკვევის საკითხს. 1908-1909 წლებში ბოსნიის კრიზისმა კიდევ უფრო გაამწვავა ვითარება ბალკანებში, სადაც ავსტრია-უნგრეთსა და რუსეთს შორის საუკუნოვანი მეტოქეობა შეიძლება სამხედრო კონფრონტაციაში გადაზრდილიყო. მეოცე საუკუნის დასაწყისში დაუძლურებულ იმპერიას ტერიტორიულ მოთხოვნებს უყენებდა თითქმის ყველა მეზობელი. შიდა პრობლემები აისახა მის შეიარაღებულ ძალებში.

მე-19 საუკუნის შუა ხანებიდან შემოღებულ იქნა დაკომპლექტების ტერიტორიული სისტემა. ამის წყალობით, ბევრმა ნაწილმა ეროვნული ელფერი შეიძინა – 102 ქვეითი ჯარის პოლკიდან 35 სლავებით (ჩეხებით, სლოვენცებით, სლოვაკებით, რუსინებით) იყო დაკომპლექტებული, 12 – გერმანელებით, 13 – რუმინელებით, ხოლო დანარჩენი – შერეული შემადგენლობის იყო. ამ ვითარებაში მწვავედ დადგა სარდლობის საერთო ენის საკითხი, რაც ხშირად პოლიტიკურ დატვირთვას იძენდა. გენერალური შტაბის მეთაური იმპერატორისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში აღნიშნავდა: "სამხედრო სამსახურში მხოლოდ გერმანული ენა უნდა იქნეს გამოყენებული, მცირე ქვედანაყოფებში (ასეულებში, ესკადრონებსა და ბატარეებში) კი დასაშვებია მშობლიური ენის ხმარება".

მიუხედავად იმისა, რომ ავსტრია-უნგრეთის არმია გერმანულ ყაიდაზე იყო აგებული, მას ბევრად ჩამორჩებოდა. ტრადიციულად, იგი უფრო ხშირად მარცხდებოდა, ვიდრე იმარჯვებდა. მას აკლდა მორალური მთლიანობის პრინციპი, რაშიც ხელს უშლიდა იმპერიაში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლობის აღრევა.

ავსტრია-უნგრეთის სახმელეთო ძალების შემადგენლობაში შედიოდა იმპერიული ჯარები, ავსტრიული ლანდვერი (რეზერვი), უნგრული გონვენდი და ბოსნია-ჰერცოგოვინის ჯარები. სამხედრო სამსახურის საერთო ხანგრძლივობა 12 წელი იყო, აქედან 3 წელი რეგულარულ არმიაში და 9 წელი – რეზერვში. ამ "შეკოწიწებული" არმიის გამაერთიანებელი სამეთაურო შემადგენლობა იყო. ოფიცერთა კორპუსში და უნტერ-ოფიცერთა შორის უმრავლესობა გერმანელები იყვნენ, ეს უზრუნველყოფდა ჯარების გარკვეულ ერთობას, მაგრამ ამავე დროს პოლიტიკური დისკუსიების მუდმივი თემა იყო.

ავსტრია-უნგრეთში სამხედრო აზროვნება სრულ სტაგნაციას განიცდიდა და მხოლოდ გერმანულ სამხედრო-თეორიულ სკოლაზე იყო დაქვემდებარებული. მათ არ ჰყავდათ სამხედრო აზროვნების არც ერთი მეტ-ნაკლებად ცნობილი წარმომადგენელი, რომელიც რაიმე სიახლით აღადგენდა ავსტრია-უნგრეთის იმპერიის სამხედრო ტრადიციებს.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე თითქმის არაფერი გაკეთებულა ავსტრია-უნგრეთის არმიის გასაძლიერებლად. სამხედრო საქმე ფულადი სახსრების ნაკლებობას განიცდიდა. მისი ბიუჯეტი მთელი სახელმწიფო შემოსავლის 13%-ს შეადგენდა და მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა რუსეთისა (20%) და გერმანიის (18%) ბიუჯეტებს. მშვიდობიანობის დროს, 1914 წლისათვის არმიის საერთო რიცხოვნობა აღწევდა 480 ათასს, მაშინ როცა რუსეთში იგი 1 მლნ 230 ათასის, ხოლო გერმანიაში 800 ათასის ტოლი იყო.

არმიაში უძრაობის და გახრწნის ატმოსფერო სუფევდა, რამაც ჯაშუშობის ფაქტები მოამრავლა. ამის ერთ-ერთი მაგალითია პოლკოვნიკი რედლი, რომელმაც რუსებს ოპერატიული განლაგების გეგმა მიჰყიდა. კონტრდაზვერვის ორგანოებს ჯაშუშობის 8000 ფაქტზე მოუხდათ მუშაობა, აქედან 560 სამხედრო პირი დააკავეს და გაასამართლეს.1

გერმანელი ოფიცრები, რომლებიც თავის ავსტრიელ კოლეგებთან ერთად მუშაობდნენ, აღნიშნავდნენ, რომ "საჭირო იყო ავსტრიის არმიის რიცხობრივი შემადგენლობის, სწავლების ხარისხის, ორგანიზაციისა და შეიარაღების გაუმჯობესება".

იმპერიისათვის ყველაზე მტკივნეული იყო ის ფაქტი, რომ მისი მოსახლეობის სლავურ ნაწილს არ სურდა ომი რუსეთის წინააღმდეგ, რადგან რუსეთს ჰაბსბურთა იმპერიის ეროვნული ჩაგვრისაგან პოტენციურ გამანთავისუფლებლად მიიჩნევდა. ამიტომ საჯარისო ნაწილები, რომლებიც სლავური მოსახლეობისაგან შედგებოდა, არაკეთილსაიმედოდ ითვლებოდა და ეს აიძულებდა გენერალურ შტაბს გაენაწილებინა ჯარები არა სამხედრო, არამედ ეთნიკური და პოლიტიკური დაინტერესების საფუძველზე, რათა ნათესავებს არ ებრძოლათ ერთმანეთის წინააღმდეგ. საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე არ იყო დამთავრებული არმიის გადაიარაღების პროგრამა, მიუხედავად სოლიდური სამრეწველო პოტენციალისა, არ იყო საკმაო რაოდენობის მძიმე არტილერია, ჭურვები და ტყვიამფრქვევები.

სამხედრო ინსტრუმენტი, რითაც ავსტრია-უნგრეთის იმპერიამ დაიწყო ომი, კაპიტალურ რემონტს საჭიროებდა, მაგრამ რეაქცია, ბიუროკრატიზმი და ცენტრიდანული ძალები არა მარტო არმიის, არამედ მთელი სახელმწიფო სისტემის რეანიმაციის საშუალებას არ იძლეოდნენ. ავსტრიის ომამდელი რეგულარული არმია ან დაიღუპა, ან ტყვედ ჩაბარდა ომის დაწყების პირველივე თვეებში. ამის შემდეგ დაიწყო მისი ხანგრძლივი აგონია. მიუხედავად იმისა, რომ მას ზურგს უმაგრებდა გერმანია, და მასთან ერთად გარკვეული ტაქტიკური წარმატებებიც მოიპოვა, ჯერ კიდევ დაზავებამდე იმპერია ნაწილებად დაიშალა.

---

1. Lawrence J., Rice and Fall of British Empire, London, 1998, p. 335.
2. Лемон Э., Англия и Германия, М.,1925, стр. 97-98.
3. Tuchman B., Guns of August, p. 54.
4. Лиддел-Гарт Б., Правда о войне, стр. 47.
5. Keegan J., The first world war, p. 43.
6. Ронге М., Разведка и контрразведка, М., 1939, стр. 48.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Black J., War and the World. Yale, 1998
2. Makers of modern strategy. Princeton, 1986
3. Lawrence J., The rise and fall of the British Empire. London, 1998
4. Tuchman B., The guns of August, N.Y., 1994
5. Keegan J., The First World War, N.Y., 1999
6. Bloch de J., Selected articles, L.P., 1999
7. Галактионов М., Париж 1914, М., 2001
8. Урланис Б., История военных потерь, М., 1999

9. Белая книга европейского кризиса, Петроград, 1914
10. Жомини, Очерки военного искусства, т. 1, М., 1939
11. Рорбах П., Война и германская политика, М., 1915
12. Фрейтаг-Лорингофен, Выводы из мировой войны, М., 1923
13. Зайончковский А., Кампания 1917 года, М., 1923
14. Файоль, Сосредоточение огня и средств, М., 1923
15. Бюлов Б., Воспоминания, М., 1935
16. Ронге М., Разведка и контрразведка, М., 1939
17. Лиддел-Гарт Б., Правда о войне 1914-1918 гг., М., 1935
18. Лиддел-Гарт Б., Стратегия, М., 1957
19. Лемон Э., Англия и Германия, М., 1925
20. Свечин А., Эволюция военного искусства, Акад. проект, 2002
21. Стратегия в трудах военных классиков, т. 1, М., 1924
22. Мольтке, Военные поучения, М., 1938
23. Мольтке, История германо-французской войны 1870-1871 гг., М., 1937
24. Шлиффен, Канны, М., 1938
25. Клаузенвиц, О войне, т. 1-2, М., 1941
26. Михневич, Стратегия, М., 1910

Janjgava Nick

THE EVOLUTION OF THE MILITARY THOUGHT AND COMBAT PLANS BEFORE THE FIRST WORLD WAR

Summary

The First World War or the “Great War” had an important role in a history of the 20-th century. This work is describing the evolution of the military thought and plans of the belligerent sides – “Entente” and “Triple Alliance”, in a pre-war period, and shows the real development of the situation during the first battles of the war.